
726 ა / 8413

ლიტერატურული საქართველო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს ზეჯოგადოების გამოცემა

№ 23 (303) გამოცემის მე-16 წელი

1982 წლის 8 დეკემბერი



სურათზე: საქართველოს თავისი ღირსეული შვილის, სახელოვანი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავი აღნიშნა. საერთო-სახალხო ზეიმი კი, რა თქმა უნდა, თბილისის მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან დაიწყო.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო

ხალხთა ძმობის საწინდარი

5 დეკემბერს ჩვენმა დიადმა სამშობლომ, საბჭოთა ხალხების ძმურმა ოჯახმა სიყვარულით, პატივისცემით და ახალ-ახალი შრომითი გამარჯვებებით აღნიშნეს საბჭოთა დემოკრატიის ფუძეთა-ფუძის — საბჭოთა კონსტიტუციის დღე. მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადი და საბჭოთა სახელმწიფოს დამფუძნებელი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი წერდა: „ჩვენ გვსურს ერების ნებაყოფლობითი კავშირი, — ისეთი კავშირი, რომელიც არ დაუშვებდა ერთი ერის არავითარ ძალმომრეობას მეორე ერისადმი, — ისეთი კავშირი, რომელიც დამყარებული იქნებოდა სრულ ნდობაზე, ძმური ერთიანობის ნათელ შეგნებაზე, სავსებით ნებაყოფლობით თანხმობაზე“.

დიდი ბელადის სწორედ ეს მითითება დაედო საფუძვლად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის დაკანონებას, სწორედ ამ მითითებათა საფუძველზე არიან გაერთიანებულნი ძმობის ურღვევ კავშირად ჩვენი დიადი ქვეყნის სრულუფლებიანი წევრები — თხუთმეტი მოძმე რესპუბლიკა, რომელთა შორის ღირსეული ადგილი უჭირავს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, სწორედ ამ მითითებათა შესაბამისად მიაღწია ქართველმა ხალხმა თავისი საკუთარი მრეწველობის შექმნას, სოფლის მეურნეობის აღზევებას და ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურის არნახულ აყვავებას.

საბჭოთა კონსტიტუციის დღე, ხალხთა ძმობისა და ერთიანობის საფუძველთა-საფუძვლის აღმნიშვნელი დღე — საყოველთაო სახალხო ზეიმად არის დაკანონებული ჩვენში. მუშა თუ კოლმეურნე, ინტელიგენტი თუ მოსწავლე, დიდი თუ პატარა, მთელი ქართველი ხალხი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ამ დღეს წარმატებებითა და ახალი შრომითი გამარჯვებებით შეეგებოს, თავდადებით იბრძვის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მიზანდასახულობათა განსახორციელებლად, რაიც თავისთავად ნიშნავს ჩვენი ეროვნული დოვლათის მომრავლებას, ბინათმშენებლობის კიდევ უფრო გაფართოებას, ჩვენი ყოფის, ჩვენი კულტურის ახალ მორიზონტებზე გასვლას, ჩვენი ხალხისათვის ახალი სიხარულის მინიჭებას.

ყოველი წლის 5 დეკემბერი არის აგრეთვე საბჭოთა ხალხების ერთიანობისა და ძმობის დემონსტრაციის დღეც, როცა რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, შუააზიის, ბალტიისპირეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ხალხთა შვილნი კიდევ ერთხელ ადასტურებენ იმ ურყევ ჭეშმარიტებას, რომ მათი ნებაყოფლობითი გაერთიანება არის ფუძეთა-ფუძე საბჭოთა ხალხების უძლეველობისა და ბედნიერებისა, წინსვლისა და ყოველივე პროგრესისა.

სახელმწიფო—ეს ჩვენი ხალხია, ადამიანები, რომლებიც საბჭოების საშუალებით მართავენ ქვეყნის, სამშობლოს დიდების საქმეს. ამაშია ძალა ჩვენი ჭეშმარიტი დემოკრატიისა. საბჭოების მოქმედებათა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ მუშებსა და გლეხებს შეუძლიათ წარმატებით მართონ სახელმწიფო სრული ეროვნული თანასწორუფლებიანობის საწყისებზე. 1936 წლიდან, დღევანდელი კონსტიტუციის მოქმედების მანძილზე, საბჭოების საშუალებით სახელმწიფოს მართვის სკოლა გაიარა 22 მილიონმა ადამიანმა. საქართველოს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ყოველ მამულიშვილს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს განუხორციელებელი უფლება და საშუალება ჰქონდეს აქტიური მონაწილეობა მიიღოს იმ დიად გარდაქმნებში, რომელიც საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში გაერთიანებული ქართველი ერის აღმავლის გზაზეა საჭირო და აუცილებელი.

ქართველი ხალხი უველა საბჭოთა ხალხების თანაბრად სარგებლობს კონსტიტუციით მინიჭებული შრომის, დასვენების, განათლების, მოხუცებულობაში მატერიალური უზრუნველყოფისა და საკუთრების უფლებებით, რომელნიც მტკიცედ არიან დაკავშირებულნი მოქალაქეობრივი ვალდებულების იმ თავდაჯერა სათავეებთან, უროშლისოდაც თვით უფლება არ იქნებოდა გარანტირებული. ქართველი ერის შემართებითი შრომა, მისი ეროვნული ბუნებიდან გამომდინარე და ნახევარი საუკუნის განმავლობაში სამარადჟამოდ დაკანონებული ინტერნაციონალიზმი ჭეშმარიტად საუნდარია საბჭოთა კონსტიტუციით მინიჭებული უველა უფლება მოვალეობის წარმატებით აღსრულებისა ჩვენს, საბჭოთა საქართველოს მიწა-წყალზე.

მარჯანიშვილის უკვდავებას

მარჯანიშვილის სურათთან

ეჰ, ხადა ხარ! შენს ძვირფას სურათს
ხშირად დავაწყერეთ ჩვენი გულები,
დაგვურეს ობლად და უსუსურად
და ნაღვლიანად გებულბულები..
ჩემ არ მჩვევია ლექსი გლოვისა
და არც ცრემლები უფსკრულის ქიმზე,
მაგრამ რა ვუყო ამ გულს, როდესაც
ახე ახლო ხარ და... ჩუმად მიმზერ.
თითქოს ამბობდე: „მე აქ რადა ვარ,
ამ შავ ჩარჩოში უძრავად მდგარი!“
— კოტე ლეგენდად ხალხში გადავა:
პოეტი, ბავშვი და მეგობარი.
ვერ მოგიარე... შემინდე, ძმაო,
ვაგლახ ჩემს ყოფას, ვაი ჩემს სიცხვილს!
უნდა ჩავიჭრათ ტვინში ტყვიებად
უნდო აპრილის 17 რიცხვი!
უნდა მდევნიდეს დიდი ოსტატის
ხმა უკვდავების გამომსახველი;
უნდა ქართულ მზეს, ქართულ გაზაფხულს
დაერქვას კოტეს წმინდა სახელი.
კოტემ დასწმინდა სცენის მდინარე
ესოდენ ბუნდი, ესოდენ მღვრია,
გადაგვიშალა ზღვა მოცინარე
და ვარსკვლავების ბჭე შეარღვია.
აგო ოქროს სრა-ასპარეზი,
ჭერ არნახული, ჭერ არსად თქმული,
წარწარი, როგორც ანჯაფარიძე,
ელვარე, როგორც უშანგის გული.
და თუმც, ძვირფასო, გვაქვს შენი გლოვა,
და თუმც გვაწამებს ეს უშენობა,
შენს საძირკველზე, გწამდეს, ამოვა
შენივე ნიჭის მკვიდრი შენობა.
და მარჯნისფერად დაიფერება
მზე, კულისები, კედლები, ფარდა,
ჩვენ შევიძულებთ, რაც გძულდა, კოტევ,
ჩვენ შევიყვარებთ, რაც შენ გიყვარდა.
არ გაცივდება თეატრის კერა,
აღსავსე შენი ცეცხლის ლერწმებით,
უველგან მარჯნისფერ ფარდებს შევკერავთ
და ჩვენც მარჯნისფრად ავილეწებით.
მარჯანი აქეთ, მარჯანი იქით,
მარჯანი უველგან, შიგნით თუ გარედ.
დღეიდან თალხი აღარ გვეცმევა,
მარჯანი იყოს დღეთ მგლოვიარედ.

იოსებ გრიშაშვილი
1934 წ.

დიდი ხელოვანი

ხელოვნების მიზანი სულ უბრალოა — მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა.

კოტე მარჯანიშვილი



საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთი ქუჩა, მოედანი, მეტროპოლიტენის სადგური ატარებენ მის სახელს. სახელოვანი რეჟისორის მშობლიურ კუთხეში შრომობს ახალსოფლის მარჯანიშვილის სახელობის კოლმეურნეობა, ყვარელში გახსნილია მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმი. თეატრალურმა ინსტიტუტმა გამოაქვეყნა მარჯანიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ორი ტომი. თავის მოგონებებში დიდი რეჟისორის მოწაფეები სიამაყით იგონებენ დაუვიწყარ მასწავლებელს, ქვეყნდება წიგნები — ნარკვევები და სტატიები, ალბომები და კრებულები. მოსკოვში ხელოვნებისმცოდნეობის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაცულია დისერტაცია თემაზე „მარჯანიშვილი და ქართული თეატრი“. ყოველივე ეს მეტყველებს მარადისობაში გადასული ხელოვნების უკუნო ძალაზე.

პატარობიდანვე მარჯანიშვილი ლიტერატურულ და აქტიორულ გარემოცვაში იზრდებოდა. მათი სახლი 70-80-იან წლებში ქართველ მოღვაწეთა თავშესაყრელ ბინად იყო ქცეული.

1885 წელს კოტე მარჯანიშვილი პირველად გამოვიდა გიმნაზიის იმ სცენაზე, სადაც 36 წლის წინათ გიორგი ერისთავის თეატრმა აიდგა ფეხი და გოგოლის „ქორწინებაში“ აგაფიის როლი შეასრულა. 1890 წელს 18 წლის მარჯანიშვილი პროფესიულ სცენაზე გამოჰყავს მის მამიდაშვილს — კოტე მესხს — ქუთაისის თეატრის ხელმძღვანელს. აკაკი წერეთლის რჩევითა და მისივე რეკომენდაციით კოტე მარჯანიშვილს თბილისის ქართული თეატრის დასში იღებენ მსახიობად. სადებიუტოდ მან პატარა კახის როლი შეასრულა ამავე სახელწოდების აკაკის ისტორიულ დრამაში. ამ დასში ქართული სცენის კორიფეებთან მხარდამხარ, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართულ სპექტაკლებში მონაწილეობით ყალიბდებოდა მარჯანიშვილის იდეურ-მხატვრული მრწამსი, მისი ხელოვნების მოჭალაქებრივი პათოსი, აქ ეძლეოდა საწყისი მარჯანიშვილის ერთგულებას თეატრის დემოკრატიული და რეალისტური ტრადიციებისადმი.

1897-1922 წლებში მარჯანიშვილი რუსეთშია. ჯერ ქალაქიდან ქალაქში დადის და მსახიობობს, შემდეგ კი 1903 წლიდან უკვე აღიარებული რეჟისორია. მაქსიმ გორკისთან ახლო შემოქმედებითმა ურთიერთობამ, მოსკოვის სამხატვრო თეატრის დიდ მოღვაწეებთან — კონსტანტინე სტანისლავსკისა და ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან თანაშემოქმედებამ მას გამორჩეული რეჟისორისა და პროგრესული ხელოვანის სახელი მოუხვეჭა. 1903-1905 წლებში მარჯანიშვილმა სახელი გაითქვა მაქსიმ გორკისა და ანტონ ჩეხოვის პიესების დადგმით.

ერთ-ერთი მეტად საინტერესო ცდა მარჯანიშვილის მიერ რუსეთში საკუთარი თეატრის შექმნისა იყო „თავისუფალი თეატრი“. მარჯანიშვილს სურდა შეექმნა თეატრი, რომელიც თავისუფალი იქნებოდა ფულის ქისისაგან, თავისუფალი იქნებოდა ცენზურული აკრძალვისაგან... 1913 წელს, მოსკოვში მარჯანიშვილმა მიზანს მიაღწია. საგულისხმოა, რომ გორკიმ თავისი ახალი პიესა „ზიკოვები“ გადასცა დასადგმელად არა სამხატვრო თეატრს, არამედ მარჯანიშვილის თავისუფალ თეატრს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე კოტე მარჯანიშვილი საბჭოთა თეატრალური კულტურის მოწინავე მშენებელთა რიგებშია. რევოლუციის ამოცანების შესაბამისად მან პრინციპულად ახალი გააზრება მისცა და გზა გაუკაფა კლასიკური დრამატურგიის სცენურ განსხორციელებას. იგი საბჭოთა უკრაინის დედაქალაქის თეატრების კომისრად ინიშნება. თეთრგვარდიელებით გარემოცულ ქალაქში 1919 წელს დგამს ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროს“, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ თეატრი სოციალისტური რევოლუციის სამსახურში ჩადგა, რომ მისი სპექტაკლები წითელარმიელებსა და მშრომელებს აღაფრთოვანებდნენ თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

1920 წელს კოტე მარჯანიშვილი პეტერბურგშია. იგი სათავეში ჩაუდგა პეტერბურგის სააგიტაციო თეატრს და 1920 წლის 19 ივლისს განახორციელა გრანდიოზული მასობრივი სანახაობა „მსოფლიო კომუნისაკენ“, რომელშიც 4.000 კაცი მონაწილეობდა.

რუსული ხელოვნების დემოკრატიული და რეალისტური ტრადიციების ათვისებით გამდიდრებული, მსოფლიო პროგრესული თეატრის მიღწევებით შეირაღებული, საბჭოთა თეატრალური კულტურის მშენებლობაში დიდი გამოცდილებით აღჭურვილი, უკვე თამაშევერცხლილი, მაგრამ სულით ახალგაზრდა მარჯანიშვილი 1922 წელს თავის მშობლიურ საქართველოს დაუბრუნდა. საბჭოთა მთავრობამ იგი სათავეში ჩაუყენა ქართულ სასცენო ხელოვნებას. კოტე მარჯანიშვილმა შემოქმედებითი ჩიხიდან გამოიყვანა რუსთაველის სახელობის თეატრი, დაუახლოვა იგი რევოლუციურ თანამედროვეობას. მარჯანიშვილმა დიდი როლი შეასრულა ქართული დრამატული და მუსიკალური თეატრების გარდაქმნისა და თეატრალური განათლების აღორძინებაში. მან გამოავლინა, აღზარდა და შემოქმედებითს ფართო სარბიელზე გამოიყვანა დრამატურგთა, მსახიობთა, რეჟისორთა და კომპოზიტორთა მთელი თაობა, დიდად წასწია წინ ქართული კინოხელოვნება.

მარჯანიშვილმა რუსთაველის თეატრის სცენაზე დადგა „ცხვრის წყარო“, „მზის დაბნელება საქართველოში“, „გაყრა“, „გმირი“ (სანდრო ახმეტელთან ერთად), „ჯაცი-მასა“ და „გააზნაურებული მდაბიო“ (მიხეილ ქორელთან ერთად), „ვინძორის ცელქი ქალები“, „სინათლე“, „ჰამლეტი“, „დეზერტირკა“ და „მზეთამზე“ (სანდრო ახმეტელთან ერთად). ამ სპექტაკლებმა შორს გაუთქვეს სახელი ქართულ საბჭოთა ხელოვნებას, მის შემოქმედებით ძალებს.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მხარი დაუჭირეს მოწინავე მწერალთა და ხელოვანთა საზოგადოებრივ ინიციატივას და კოტე მარჯანიშვილს დაუკისრეს მეორე სახელმწიფო თეატრის შექმნა. ამ ამოცანასაც მარჯანიშვილმა ბრწყინვალედ გაართვა თავი. ამ თეატრმაც, რომელსაც შემდეგში მისი დამამარსებლისა და ხელმძღვანელის სახელი ეწოდა, თავისი მართალი, გულში ჩამწვდომი ხელოვნებით ხალხის წრფელი სიყვარული დაიმსახურა.

მარჯანიშვილმა ამ თეატრში განახორციელა სპექტაკლები შ. დადიანის „კაკალ გულში“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, კ. კალაძის „როგორ“ და „ბატიჯე“ დ. შენგელაიას „თეთრები“, ა. ჭუთაშელის — „შუა ღამემ გადაიარა“, დ. ჩიაბრელის „ბაილ“, ვ. კიკნაძის „ლიანდაგი გუგუნებს“, „პური“, ი. ოლეშას „სამი ბეღურა“, ნ. პოგოდინის „ფოლადის პოემა“, ა. აფინოგენოვის „შიშა“, მ. კულიშის „კომუნა ველზე“, მ. მიკიტენკოს „ანათემ, ვარსკვლავებო“, ე. ტოლერის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ და ბ. შოუს „წმინდა ჯალწული“.

ამ უბრალო ჩამოთვლითაც კი აშკარად ჩანს, რომ მარჯანიშვილმა თანამედროვეობასთან სრულ თანხმოვანებაში მოიყვანა თავისი თეატრი.

მარჯანიშვილის მაღალნიჭიერებამ იმ დონემდე აამაღლა ქართული თეატრი, რომ მისი მნიშვნელობა გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს. ორი ქართული თეატრის გასტროლები მოსკოვში 1930 წელს აღიარეს არა მარტო საკავშირო, არამედ მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენად.

მარადიული ქვაკუთხედი

საქართველოში კოტე მარჯანიშვილის საიუბილეო დღეებია. აფასებს თანამედროვეობა დიდი ხელოვნის მემკვიდრეობას. საიუბილეო საღამოები გაიმართა მარჯანიშვილის მშობლიურ ყვარელში, თბილისში, ქუთაისში, მთაწმინდაზე, სადაც განისვენებენ სასიქადულო ქართველები, დაიდგა ბრწყინვალე რეჟისორის დიდებული ძეგლი.

კოტე მარჯანიშვილის თაყვანისმცემელია ყველა ქართველი. მაგრამ ეხლა მხოლოდ არქიტექტორ კოტე ჩხეიძეზე ვისაუბრებთ იმიტომ, რომ ამ საჩინო არქიტექტორის მოღვაწეობა ბევრი რამით არის დაკავშირებული თეატრთან, იმიტომ, რომ ჰირადად იცნობდა სახელოვან რეჟისორს, ეხლახანს კი მიიღეს კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ახალი შენობის მისეული პროექტი.

კოტე ჩხეიძე დაიბადა 1912 წლის 3 დეკემბერს ჭიათურის რაიონის სოფელ დარკვეთში. იქვე დაამთავრა ოთხწლედი. შემდეგ თბილისში სწავლობდა, თან მოსე თოიძის სამხატვრო სკოლის მსმენელი იყო. თეატრი იმ დროიდანვე უყვარდა. თვითონაც თამაშობდა წარმოდგენებში და არც ერთ გახმაურებულ სპექტაკლს არ დაკლებია.

1932 წელს ბავშვობისდროინდელი სურვილი აისრულა — მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტის სტუდენტი გახდა, რომელიც 1937 წელს წარმატებით დაამთავრა და აკადემიკოს შჩუსევთან დაიწყო მუშაობა. სწორედ მაშინ დააპროექტა კოტე ჩხეიძემ მოსკოვის რესტორან „არაგვის“ ინტერიერები. ამის შემდეგ ახალგაზრდა ქართველი არქიტექტორი აკადემიაში ჩაირიცხა და ისეთ ცნობილ სპეციალისტებთან სწავლობდა, როგორიც იყვნენ აკადემიკოსები ალექსანდრე ვლასოვი და ივანე ჟოლტოვსკი, დიდი არქიტექტორები: გოლცი, ბუროვი, გაბრიელესკი, პეტროვსკი. აკადემიის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და საქართველოს სახელმწიფო შახტების საპროექტო ინსტიტუტის მთავარ არქიტექტორად დაინიშნა. ამ დროისათვის მიხეილ ჩხიკვაძესთან ერთად დააპროექტა სოხუმის დრამატული თეატრი, მუშაობდა ჭიათურის თეატრში მხატვრად, შემდეგ კი ამ თეატრის შენობის ახალი პროექტი შეადგინა, რისთვისაც სტალინური პრემია მიენიჭა. მასვე ეკუთვნის მახარაძის თეატრის პროექტიც.

თეატრების დაპროექტება კოტე ჩხეიძის ყველაზე საყვარელი საქმე იყო. რთული, შრომატევადი, მაგრამ ძალზე სახალისო. არა, ცნობილი არქიტექტორი თავისი მოღვაწეობის მანძილზე მარტო ამით როდი შემოიფარგლა, მან დააპროექტა ქართველ მეშახტეთა ქალაქები: ტყიბული, ტყვარჩელი, ახალციხე. თბილისში რუსთაველის გამზირზე აიგო მისეული „საქნახშირის“ შენობა.

...მოსკოვი. 30-იანი წლები. კოტე მარჯანიშვილი გორკის ქუჩაზე ქართველ სტუდენტს, თავის ძველ ნაცნობს, შეხვდა. რესტორანში შევიდნენ და მთელი საღამო კვლავ თეატრზე ლაპარაკობდნენ. ეს იყო კოტე ჩხეიძის უკანასკნელი შეხვედრა სახელოვან რეჟისორთან... და დარჩა კოტე ჩხეიძე კოტე მარჯანიშვილის მოვალედ!

და აი, ვალმა არ მოასვენა — არქიტექტორმა კოტე ჩხეიძემ მარჯანიშვილის თეატრის ახალი შენობის პროექტზე მუშაობა 1965 წელს დაიწყო და ეს-ეს არის დაამთავრა, თუმცა ეხლაც აქეთებს სამუშაო ნახაზებს.

მარჯანიშვილის სახელობის ახალი თეატრის შენობა პლეხანოვის გამზირზე წამოიმართება. მისი ავება 7 მილიონი მანეთი დაჯდება და იქნება თანამედროვე ორდარბაზიანი ნაგებობა. მთლიანად იგი გადაწყვეტილია ქართული არქიტექტურის პრინციპებით, წინ წამოწეული ავანსცენით. საერთოდ, სცენა იმგვარი ექნება, რომ რეჟისორს საშუალებას მისცემს ნებისმიერი ჩანაფიქრი განახორციელოს. დიდი დარბაზი 900 მაყურებლისათვის იქნება განკუთვნილი, მცირე კი — 400-სათვის.


მთავარ შესასვლელში დიდი სკულპტურული პანო ასახავს საქართველოს ცხოვრებას უძველესი ხანიდან დღემდე. შემდეგ იქნება შემინული ვესტიბიული, საიდანაც ფართოდ გამოჩნდება ქალაქის ხედი. ორსავე მხარეს მოეწყობა გარდერობები და აქედანვე ფართო კიბით შეხვალთ დარბაზში. შესასვლელის წინა ხედის მოზაიკური ნახატები მოგვითხრობენ მარჯანიშვილისეული ცალკეული სპექტაკლების შესახებ, დარბაზი კი, როგორც ვთქვით, თანამედროვე სტილისაა, ფართო პარტერით, ერთი ამფითეატრით, ყოველმხრივი წინა ავანსცენებით, ორგვლივ ბენუარის ლოჟებით. დარბაზი შიგნიდან თეთრი კოპტით მოპირკეთდება, ჭერი კი მდიდრული ჭიდურობით იქნება მოვარაყებული.


კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის პროექტი რომ უაღრესად თანამედროვეა, ამის დასამტკიცებლად ესეც გამოდგება: მისი მიხედვით შეიქმნა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქის თეატრების პროექტები. ქართველი ხუროთმოძღვრების პროექტს მიჰბაძეს ჩეხმა არქიტექტორებმაც.

მაგრამ არქიტექტორმა შეებით ვერ ამოისუნთქა, ჯერ სად არისო, ამბობს. ეი, როცა პროექტს ხორცი შეესხმება, როცა დაიბადება ძველი ქართული თეატრის ახალი შენობა, მაშინ ვნახოთო...

დასასრულ ერთიც უნდა მოგახსენოთ: თეატრის წინ დაიდგმება თვით კოტე მარჯანიშვილის ძეგლი, როგორც კიდევ ერთი დასტური სასიქადულო მამულიშვილთა სამარადჟამო პატივისცემისა.

ჯემალ ჟურხული





სურათებზე: არქიტექტორ კოტე ჩხეიძის მიერ დამუშავებული თეატრის პროექტის მაკეტი (მარცხნივ); თეატრის მთავარი შესასვლელის მაკეტი (მარჯვნივ).

მარად ცოცხალი მარჯანიშვილი



მთაწმინდაზე, მარჯანიშვილის ძეგლთან.

არიან ადამიანები, რომელთა სახელი დროთა განმავლობაში კი არ ხუნდება, პირიქით, შარავანდედით იმოსება. შთამომავლობა ყოველთვის მადლიერებით იგონებს იმას, ვინც ხალხის სულიერ საგანძურს თავისეული ხელი დაატყო, ვისაც წვლილი მიუძღვის ჩვენი სულიერი ცხოვრების აღზევებაში. სწორედ ეს ხვედრი ერგო ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებელს კოტე მარჯანიშვილს.

დიდი რეჟისორის იუბილე ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად იქცა. ქართველმა ხალხმა, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა დიდი პატივით აღნიშნა კოტე მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავი, რომლის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსი, უკრაინელი, ლატვიელი და სხვა ხალხების კულტურასთან. მარჯანიშვილის სახელგანთქმულმა დადგმებმა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა თეატრის სცენებზე უდიდესი როლი შეასრულა საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარების ისტორიაში.

23 ნოემბერს დაიწყო დიდი რეჟისორის ხსოვნისადმი მიძღვნილი დღესასწაული. თბილისში ჩამოვიდნენ სტუმრები — მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ალმა-ათის, ერევნის თვალსაჩინო მსახიობები და თეატრალური მოღვაწეები. სტუმრებს შორის იყვნენ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სახალხო არტისტი ე. გოგოლევა, ხელოვნებისმცოდნეობის დოქტორი ა. ფევრალსკი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ო. კუსენკო, საქართველოს დამსახურებული არტისტი ლ. ვრუბლევსკაია, თეატრალური კრიტიკოსები რ. ბენიაში, ი. რიბაკოვი და სხვები. კოტე მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ დღესასწაულში მონაწილეობისათვის საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდნენ პოლონეთის ცნობილი თეატრალური მოღვაწეები — მსახიობები ა. დმასოვსკა და ბ. ორლიჩი.

მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, სადაც დაკრძალულნი არიან ქართველი ერის საუკეთესო შვილნი, განისვენებს კოტე მარჯანიშვილიც. რეჟისორის ხსოვნის მიტინგზე შეიკრიბნენ რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, თეატრალური მოღვაწეები, სტუმრები. აქ მოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მიხეილ გოგიჩაიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვიქტორია სირაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ ლელაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე გიორგი ბედინიშვილი, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

რეჟისორის საფლავი გვირგვინებით შეამკეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან, რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს, საქართველოს თეატრალური საზოგადოების, მარჯანიშვილის, რუსთაველის და გრიბოედოვის სახელობის თეატრებისა და სხვა ორგანიზაციებისაგან.

იუბილესათვის საფლავზე დაიდგა რეჟისორის ძეგლი, რომლის ავტორია საქართველოს გამოჩენილი მხატვარი ბიძინა ავალიშვილი, კვარცხლბეკის ავტორია არქიტექტორი მ. ჯაფარიძე.

24 ნოემბერს გამოჩენილი რეჟისორის იუბილემ საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გადაინაცვლა.

...სცენის სიღრმიდან მოჩანს კოტე მარჯანიშვილის დიდი პორტრეტი — ჭაღარა თმა, მახვილი, გამჭრიახი გამოხედვა...

საზეიმო საიუბილეო საღამოს პრეზიდიუმში არიან პავლე გილაშვილი, მიხეილ გოგიჩაიშვილი, ალექსი ინაური, შალვა კიკნაძე, ზურაბ პატარიძე, ედუარდ შევარდნაძე, ალბერტ ჩურკინი, გიორგი ძოწენიძე, შოთა ჭანუყვაძე, გივი ჯაფარიშვილი, ოთარ ჩერქეზია, ჯუმბერ პატიაშვილი.

აქვე არიან საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილე პ. ვეირონკოვი, მთავრობის საიუბილეო კომისიის წევრები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა მთავრობის საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გიორგი ძოწენიძემ.


— XIX საუკუნის ქართული კულტურის პროგრესულ მოღვაწეთა სახელოვანი დემოკრატიული ტრადიციების მემკვიდრე კოტე მარჯანიშვილი, — თქვა მან, — იყო რეალიზმის დამცველი თეატრალურ ხელოვნებაში, მაღალი იდეურობის თეატრისათვის მებრძოლი. სწორედ ამ პროგრესულმა მისწრაფებებმა მიიყვანა იგი მოღვაწეობის აღრეულ ეტაპზევე ჩვენთვის და ჩვენის დრამატურგიამდე, თავისი შემოქმედებითი ცხოვრების 25 წლისწადი მიუძღვნა მარჯანიშვილმა რუსულ თეატრს. ქართველი ხალხისა და სხვა ხალხების მეგობრობისა და ერთიანობის მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები მის შემოქმედებაში თავისებურად, ღრმად და თანმიმდევრულად აისახა. შემოქმედებითს პრაქტიკაში რეჟისორმა წარმოაჩინა სხვადასხვა ეროვნული კულტურის ურთიერთკავშირისა და ურთიერთგამდიდრების დიალექტიკური პროცესი.

მარჯანიშვილის შემოქმედება ღრმად ხალხური იყო. რეჟისორს თავის მიზნად მიაჩნდა ხელოვნების სამსახური, რომელიც უნდა იყოს მაღალი, ნათელი, იზიდავდეს არა მარტო რჩეულთა, არამედ მასებსაც. ღრმად მოაზროვნე ხელოვანი დაუცხრომლად ზრუნავდა იმისათვის, რომ თეატრალური წარმოდგენა, მთელი თეატრი ფიხდაფიხ მიჰყვებოდეს თანამედროვე ცხოვრების ტემპს, ეხმიანებოდეს ეპოქას, აკმაყოფილებდეს მის მოთხოვნილებებს და აზიარებდეს მაყურებელს ხალისიან, მხნე, ცხოველმყოფელ ხელოვნებას.

კოტე მარჯანიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ილაპარაკა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა, კრიტიკოსმა ბესარიონ შენტმა.

ორატორმა გაიხსენა ქართველი რეჟისორის მოღვაწეობა მოსკოვში, რიგაში, კიევში, აღნიშნა, რომ დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მარჯანიშვილი ერთ-ერთი პირველი ჩაება საბჭოთა თეატრის შენებლობაში. მისი სპექტაკლი „ცხვრის წყარო", რომელიც 1919 წელს დადგა კიევში, არსებითად პირველი საბჭოთა სპექტაკლი იყო. მასობრივ სახალხო სანახაობათა ხელმძღვანელობა რევოლუციურ პეტროგრადში ერთხელ კიდევ ადასტურებს მარჯანიშვილის ერთგულებას ახალი ეპოქისადმი.

— მარჯანიშვილი ეროვნული და ინტერნაციონალური მასშტაბის დიდი რეჟისორი გახლდათ, — თქვა ორატორმა სიტყვის დასასრულს. — მან გვიანდერძა ძლიერი, მაღალიდეური, მაღალმხატვრული ქართული თეატრი. და დღეს დიდი სიყვარულითა და მადლიერებით ვიხსენებთ მის სახელს, სახელს ადამიანისას, რომელიც დაიფერფლა ქართული ხელოვნების, ქართული თეატრის აყვავებისათვის ბრძოლასა და შრომაში.



დიდი სახალხო ზეიმი ყვარელში

სიტყვა წარმოთქვეს და დამსწრეთ მოგონებანი გაუზიარეს საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილემ პ. ვეირონკოვმა, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სახალხო არტისტმა ე. გოგოლევამ, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტებმა: ვ. ანჯაფარიძემ, ო. ჟუსენკოვმ (კიევი), დ. ანთაძემ, ლ. ალექსანდროვსკაიამ (მინსკი), პ. პასპაძემ, ვ. გოძიაშვილმა, ხელოვნებისმცოდნეობის დოქტორმა ს. არუთინიანმა (ერევანი), ხელოვნებისმცოდნეობის კანდიდატმა რ. ბენიაშმა (ლენინგრადი), ყაზახეთის სახალხო არტისტმა პ. მამბეტოვმა ხელოვნებისმცოდნეობის კანდიდატმა ლ. ძენემ (რიგა) გულთბილი სიტყვით მიმართა შეკრებილთ ცნობილმა პოლონელმა მსახიობმა ბ. ორლიჩმა.

პოეტმა იოსებ ნონეშვილმა წაიკითხა კოტე მარჯანიშვილისადმი მიძღვნილი ლექსი.

სადღესასწაულო კონცერტზე წარმოდგენილი იყო ბევრი რამ, რითაც ნეობის დოქტორმა ს. არუთინიანმა (ერევანი), ხელოვნებისმცოდნეობის კანდიდატმა რ. ბენიაშმა (ლენინგრადი), ყაზახეთის სახალხო არტისტმა პ. მამბეტოვმა ხელოვნებისმცოდნეობის კანდიდატმა ლ. ძენემ (რიგა) გულთბილი სიტყვით მიმართა შეკრებილთ ცნობილმა პოლონელმა მსახიობმა ბ. ორლიჩმა.

პოეტმა იოსებ ნონეშვილმა წაიკითხა კოტე მარჯანიშვილისადმი მიძღვნილი ლექსი.

სადღესასწაულო კონცერტზე წარმოდგენილი იყო ბევრი რამ, რითაც დღე ერთხელ გახდნენ მოწმენი სახელმოხვეჭილ მსახიობთა ბრწყინვალე დუეტისა. „ურიელ აკოსტა" — ეს შესანიშნავი სპექტაკლი კოტე მარჯანიშვილმა 43 წლის წინათ დადგა. რეჟისორის ხსოვნის აღსანიშნავად მისი იუბილეს წელიწადს ვერიკო ანჯაფარიძემ განაახლა სპექტაკლი მარჯანიშვილისეული დადგმით. უცვლელი დარჩა კომპოზიტორ თამარ ვასვასიშვილის მუსიკაც და მხატვარ პეტრე ოცხელის დეკორაციებიც. და როგორც თაობათა მემკვიდრეობის ბრწყინვალე მაგალითი, მაყურებელმა იხილა ამ სპექტაკლში ვერიკო ანჯაფარიძის, ვასო ყუშიტაშვილის, ელისო ჭავჭავაძის, ვალერიან გუნიას, ნოდარ მგალობლიშვილის, ნოდარ შენგელიას, ნანა ბუაძის, ნანა ყიფიანის, ნანა ნაკაშიძის, ნანა ნაკაიძის, ნანა ნაკაშიძის, ნანა ნაკაიძის, ნანა ნაკაშიძის, ნანა ნაკაიძ

მოლოდინი

მოთხრობა

მოხუცი ქალი სამზადის წინ დადგმულ სამფეხა სკამზე იჯდა თალხი კაბა ეცვა. ჭაღარა თმაზე შავი თავსაფარი ჰქონდა წაკრული. იდაყვები კალთაში ჩაეწყო, ერთმანეთზე მიჭრილ ხელისგულებს ნიკაპით დაჭერდნობოდა და სევდაჩამდგარი თვალებით გაჰყურებდა თავისი ეზოს მოსაზღვრე გორაკს. გარინდება სჩვეოდა. საქმეს რომ მორჩებოდა, სამფეხა სკამს გამოიტანდა. ჩამოჯდებოდა, წამწამებსაც იშვიათად თუ დაახამხამებდა, თითქოსდა ესეც ხელს უშლიდა იმ ღრმა და ყოვლისმომცველ ფიქრს...

„დედა! დედა!“

კორდზე პატარა ბიჭი თამაშობს. ეკალი შერჭმია ფეხში და დედისკენ კოჭლობით მოხტუნავს.

„ეს რა მოგსვლია, დედა გენაცვალოს, შვილო“.

თვალცრემლიანი ბიჭი ტირილს იკავებს.

„აქ დაჯექი და ამ წუთში ამოგიღებ, შვილო“.

დედა სასწრაფოდ ეძებს საწვრილმანო კოლოფში ნემსს. მერე ბიჭს პატარა ჩაუანგულ ქუსლს ხველი ტილოს ნაჭრით უწმენდს. ეკალი შავი წერტილივით მოჩანს.

„მტკივა, დედი!“

„ვიცი, მაგრამ მტკივა, დედი“.

დედას გული უჩუყდება და ქუსლზე ჰკოცნის.

„ცოტაც და დაგიამდება“.

ბიჭს ტკივილი უამდება და დედას უელზე ეხვევა.

„რა კარგი ხელები გაქვს, დედიკო!“

მოხუცის თვალებში ძლივს შესამჩნევად გაბრწყინდა ცრემლი.

„სადა ხარ, შვილო გურამ!“

გურამს შინ შეკერილი გრძელზონრიანი ჩანთა მხარზე აქვს გადაკიდებული. ჩანთის პატარა ჯიბეში სამელნე დევს. მელანს ჩანთაც მოუთხუპნია. მოკლე შარვალი აცვია. თეთრ პერანგზე წითელი უელსახვევი უფრიალებს.

„გაკვეთილები რომ დამთავრდება, არ დაიგვიანო, შვილო“.

„მერე სათევზაოდ გამიშვებ, დედი?“

„გაგიშვებ“.

...გურამს მუხლებამდე დაკარწახებული შარვალი დასველებია. მხარზე ანკესის ჯოხი გაუდია და თხმელის წკნელზე აცმულ ღორჯოებს მაღლა სწევს.

„სამოცი ღორჯოა, დედი!“

დედას უხარია. შვილის მოტანილ ღორჯოებს განსაკუთრებული გემო აქვთ. ტყემალს კრეფს. ქინძში გაზავებული ტყემალი უხდება შემწვარ ღორჯოს. გურამს უყვარს.

აკვნესდა გული: „სადა ხარ, შვილო!“

„იპოლიტე, კაცო, დღეს მშობელთა კრებაზე ვიყავი. სანიმუშო მოსწავლეაო, თქვეს ჩვენს გურამზე. სიხარულით კინაღამ გული ამომივარდა“.

„მასახელებელი გვეზრდება, ქალო! აბა, ცუდი ბიჭი გამომივიდოდა მე?!“ როხროხებს იპოლიტე და თეთრ კბილებს აელვარებს.

„გურამ! გურამ!“

„ბატონო!“

„მოდი აქ!“

„რა იყო მამა?“

„არ ვიჭიდაოთ?“

გურამს თვალები უციმციმებს.

„ხელები არ იხმარო და კარგი“.

გურამი მამას ეძიძგილავება, უნდა მიწას მოსწყვიტოს, მაგრამ მამა მძიმეა.

„ბიჭო, დაანებე თავი“.

„უნდა წავაჭციო“, — იძახის გურამი და შუბლზე ოფლი ასკდება.

იპოლიტე გულაღმა წევს. სახე ღიმილით გაბადრია.

„წამაჭცია, ჭალო!“

„მოიცა და ისე წაგაჭცევს, რომ...“

ქალმა კაბის კალთა თვალებზე გადაისვა.

„შენ ეხლა მოსვენებული ხარ, ბედშავო იპოლიტე“.

— ძაბა! — მოისმა ძახილი.

მოხუცი გამოერკვა. ძმიმედ წამოდგა და ამოიოხრა.

— რომელი ხარ?

— სანდრო ვარ, თავმჯდომარე. მომილოცავს...

მოხუც ქალს გული აუჩქროლდა. ტანი უცებ შეუმსუბუქდა. შეკრული წარბები გაეშალა.

— რა იყო, სანდრო?

— ციალა ორდენით დააჯილდოეს. რაიკომის მდივანმა გადასცა კოლმეურნეობის საანგარიშო კრებაზე. „მაღარიჩი“ იქნება?

ქალს სახეზე სიხარულის გამომხატველი გამომეტყველება შერჩა, გულმა კი უნებურად დაიკვნესა:

„მეგონა, შენი ამბავი უნდა ეთქვათ, შვილო გურამ“.

— იქნება, სანდრო!

— სასახელო ქალიშვილი გყავს.

— დედა ენაცვალოს... მობრძანდი.

— მერე იყოს, — გაიცინა თავმჯდომარემ, — თვალთვალ უნდა გიდღეგრძელო ქალიშვილი.

თავმჯდომარის მანქანა თვალს მიეფარა.

„კარგია, შრომა დაუფასეს. მთელი დღე ჩაის პლანტაციაშია, სხვებზე მეტს კრეფს“. ფიქრობდა ძაბა სამუშაოდ და სამზადის ცეცხლთან ფაცაფუცობდა — ორგნენ კოლმეურნეობას. მერე საწყალი იპოლიტე ავადმყოფობამ იმსხვერპლა...

— შვილზე ჯავრს გადაჰყვა, — ამოიოხრა ძაბამ.

— მაგრამ ძაბამ შეძლო მამობაც და დედობაც გაეწია თავისი ქალიშვილისათვის, — შეუჩერებლივ განაგრძო ბესარიონმა.—შეძლო რიგიანად დაეცვა ქართული ოჯახის ღირსება და ნამუსი, აღზარდა ისეთი შესანიშნავი ქალიშვილი, რომლითაც მთელი რაიონი ამაყობს.

ახალგაზრდა პირმშვენიერ გოგოს, რომელიც თავმჯდომარის გვერდით იჯდა, ღაწვები აელეწა.

— ძალიან ნუ შემაქებთ, ბესარიონ ძია!

— საქებარი ხარ, შვილო. საქებარია დედაშენიც. იხაროს თქვენმა დედაშვილობამ.

— იხაროს! — დასჭექეს სუფრის წევრებმა.

* * *

„დღეს შენი დის ქორწილია, შვილო. არც იცნობ. დაბადებული არ იყო, როცა წახვედი. ომის დაწყებისთანავე მივხვდით მე და უბედური მამაშენი, რომ შვილი კიდევ უნდა გვყოლოდა. გურამს რაიმე რო მოუვიდესო... შეგვინდე, შვილო, ამგვარი ფიქრი. თურმე მანამდე არ ვიყავით მართალი, — ერთი შვილი რომ გვყავდენოსანი ქალიშვილისათვის რიგიანი სადილი უნდა დაეხვედრებინა.

* * *

— ღმერთმა ოჯახი გიდღეგრძელოს, ძაბა. შენი კაიქალობის ამბავი მთელმა რაიონმა იცის. სანამ შეგეძლო, მოწინავე კოლმეურნე იყავი, სოფლის თვალი. დღეს შენმა ქალიშვილმა გვასახელა. სწორედ ეს შეშვენოდა იპოლიტე სამუშაოს ოჯახს. მის საფლავს ნათელი ადგას უფუოდ. ღირსეულად გასწიე უღელი ერთგული მეუღლისა და კარგი დედისა. სულ ლხინი იყოს თქვენს ოჯახში, ძაბა. ჩემი ძვირფასი მეგობრის, ჩვენი საამაყო გურამის ამბავიც გაგვეგოს, მისი ჩამოსვლაც გვეზეიმოს. ამ ოჯახს მოყვარე გამრავლებოდეს, ჭერს ემაღლოს, ბავშვების ტიტინით გამხიარულებულიყოს...

— გმადლობთ, სანდრო ბატონო. ეჰ, რა იქნებოდა გაგრძელებულიყო თქვენი მეგობრობა. როგორ გიყვარდათ ერთმანეთი.

— ერთ მერხზეც ვმჯდარვართ.

— დამლუპა ომმა, შვილო.

— იმედი არ გადაიწყვიტო, ძაბა. ხდება თურმე, რომ ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულები ჩამოდიან საზღვარგარეთიდან.

— ვითომ, იქნება სადმე?

დედის სიტყვებში იმედი გამოკრთა, მცირე იმედის სხივმაც სახე გაუნათა.

— ვინ იცის?

— ღმერთი ხედავს, მაგ იმედით ვცოცხლობ.

— აბა, ყველამ შევსვათ ეგ სადღეგრძელო, წვეთიც არ ჩატოვოთ, — რიხიანად დაიძახა სანდრომ და სუფრას თვალი მოავლო. — ყველამ ვიცით, რამდენი სიმწარეც გამოიარა ამ ოჯახმა, — დაიწყო ბესარიონმა, ძაბა სამუშაოს კარის მეზობელმა. — იპოლიტემ და ძაბამ ერთადერთი ვაჟკაცი ომში გააცილეს. იმ დიდი გაჭირვების უამს ცოლ-ქმარი თავდადებულად შრომობდნენ, მხარში ედგნენ ერთმანეთს. ბედი, ვიცი, როგორ გაგეხარდება უცნობ დასთან შეხვედრა. ჰო, თხოვდება. ნათესავები და მეგობრები სულ ჩვენთან შემოკრებილან. მე კი ვზივარ ჩემს ჯორკოზე და შენზე ვფიქრობ. ციალა ქმრის ოჯახში მიდის, მე მარტო დავრჩები შენს ოჯახში. კვლავ ძველებურად მოვუვლი ყველაფერს, რიგიანად დაგახვედრებ სახლს, შვილო. ციალასა და მის მეუღლეს თუ ვეწვევი ზოგჯერ. სიძე კარგი ბიჭი ჩანს. კოლმეურნეობის ბრიგადირია. შრომა უყვარს. ჩემი ციალაც გამრჯე გოგო დადგა. აბა, იმათ რა უნდა გაუჭირდეთ. დღეს ისეთი დროა, თუკი იშრომებ, თავსაც გაიტან და სხვებსაც გამოადგები. ვიცი, აქ რომ ყოფილიყავი, სოფლის სახელო ვაჟკაცი იქნებოდი. სად დარჩი გურამ? რატომ არაფერი გავიგეთ შენი? უკვე ოცდახუთი წელიწადი გავიდა, რაც ომი დამთავრდა. ალბათ უცხოეთის ტყვეობაში ხარ სადმე. თავი ვერ დაგიღწევია და საყვარელ მოხუც დედასთან ვერ მოსულხარ. რა იქნება, რომ ამ ბედნიერ დღეს გამოგვეცხადო, ჭიშკარი შემოაღო და ხელები გაშალო, სად არის დედაჩემიო, იკითხო. შეიძლება ვერ ავიტანო ის ბედნიერება, შეიძლება სიხარულმა თავბრუ დამახვიოს და გონს ვეღარც მოვიდე, მაგრამ ბედნიერი მოვკვდები. ბედნიერი სიკვდილი დიდი რამ ყოფილა, შვილო. საწყალი მამაშენი რომ კვდებოდა, რამდენჯერმე შენი სახელი წამოაბოდა. მერე გურამი აქ რატომ არ არიო, მკითხა. გურამი ომში წავიდა და ჯერ არ მოსულა-მეთქი. რა უნდოდა ომშიო. სამშობლოს დასაცავად წავიდა-მეთქი. ეხლაც იცავსო? მე ცრემლი მომერია. ჩვენ მუდამ შენზე ვწუხდით, შვილო, მუდამ შენ გვახსოვდი. გვგონა, ერთად შეგეგებებოდით და ამ შეხვედრის სიხარული გვაცოცხლებდა. მამაშენმა შენზე დარდი საფლავში ჩაიყოლია. მეც ამ დარდით ნუ მომკლავ, შვილო. ეს ჭირნაამაგარი ეზო შენია. ეს სახლი შენია, ეს ნათესავ-მეზობლები შენი არიან და ნუ გამოაკლდებით“.

— ძაბა!

— ჰო, — გამოერკვა მოხუცი ქალი.

— სამზადშიც გავშალოთ სუფრა?

— როგორც ჯობდეს, ბესარიონ.

— მოსამსახურეები და მეზობლები აქ დავჯდებით.

— კეთილი.

— დღეს მოწყენა არ შეიძლება, ძაბა.

— მოწყენილი არა ვარ. ცოტას ვისვენებ.

— რაც შენ იტრიალე, დაიღლებოდი, აბა, რა იქნებოდა.

„მაინც რანაირი იყო ის დღე, შვილო. სახეზე ფერი არ გქონდა, მაგრამ, ნუ გეშინიათ, მალე დავბრუნდებიო, გვითხარი, ცრემლი არ დამანახოო, ამიკრძალე. მე მაინც ვტიროდი. განა არ მქონდა სატირლად საქმე?! იპოლიტე მხრებზე გიტყაპუნებდა ხელებს, თითქოს ბეჭების სიმაგრეს გისინჯავსო. ჯერაც ბავშვი იყავ მაშინ. იმ ზაფხულს უმაღლესში გინდოდა შესულიყავი. ოცდახუთი წლის წინათ დაამთავრებდი კიდეც. ნეტავ, დღეს რანაირი ხარ, შვილო. მაღალი, ბრგე აგებულებისა იყავი. ახლა, ალბათ, შენს ბეჭებს ხელს ვერ გავუწვდენ...“

— ძაბა! — მოისმა ხმა სამზადიდან.

— გისმენ, ბესარიონ.

— ღვინისთვის გაგზავნილები დაბრუნდნენ, არ მოგვეწონაო ის ღვინო.

— უიმე, დრო ცოტა დაგვრჩა.

— აგვეხადა ის ქვევრები?

— რას ამბობ, ბესარიონ, ცოცხალი თავით იმ ქვევრებს როგორ ავხდი!

— ბევრი ფული მიდის ღვინოში. ღმერთმა გაღირსოს გურამის ჩამოსვლა და სოფელი ღვინოს არ მოგაკლებს. ქალიშვილის ბედნიერებას მოახმარე. ვერ გითხრეს, თორემ ყველა ამ აზრისაა.

— ვთქვი, ჯერ მე მოვკვდები და მერე...

— კაი, კაი. არ გეწყინოს, ძაბა, სხვების აზრი გითხარი, — მოუბოდიშა ბესარიონმა. — მაღაზიიდან მოვიტანთ...

— არ მოგვაკლდეს, ბესარიონ, სწორად მოზომე.

„ბესარიონს როგორ ეკადრება ეს. არ იცოდეს მაინც, რა აღთქმით ჩავასხით იპოლიტემ და მე ის ღვინო ქვევრებში. იმ დაწყევლილი წლის შემოდგომა იყო. ყურძენი კარგი მოვიდა და იპოლიტემ მიწაში ჩაფლული ათ-ათ-ფუთიანი ორი ქვევრი გაავსო, თავი გადაუგლისა. გურამი რომ ჩამოვა, მაშინ ავხდიო. ამას რომ ამბობდა, სახე უღიმოდა, თითქოს ჩვენი ბიჭი ხვალვე შემოაღებდა ჭიშკარს. იპოლიტეს გარდაცვალებისას ქვევრები კინაღამ თვითნებურად ახადეს მეზობლებმა, მაგრამ ყველა ვიფრინე, ან ახლა მაგას როგორ ვიზამ. ღმერთმა თუ გამაბედნიერა, ჩემს ბიჭს მამამისის ფეხებით დაჭყლეტილი და იმივე ხელით დაწურული ღვინო უნდა დავალევინო. თუ არადა“.

ძაბა სამუშაომ თავი ჩაჰკიდა, თვალზე ხელი აიფარა. მერე უცებ წამოდგა, უსიამო ფიქრები გულიდან გადაიყარა და მოფუსფუსე ქალებს მიაშურა.

* * *

„ვოლგები“ და „მოსკვიჩები“ გაბმული საყვირებით შემოიჭრნენ ორღობეში. ეზოს ტაშის ტკრიალმა დაურბინა. გაისმა დოლისა და აკორდეონის ხმა. დამხვდურებმა საგანგებოდ ჩაბალსტუხებულ-ჩაკოხტავებულ სიძეს თეთრებში მორთული, ჯიღოსანი პატარძალი შეაგებეს. ძაბამ სიძე გულში ჩაიკრა, ქალიშვილი გვერდში ამოუყენა, ორივე გადაჭოცნა, სახლის აივანზე აუძღვა და შეუღლება დაულოცა.

თამადად სანდრო აირჩიეს.

სახეშეყინულღილებული მოქეიფენი მჭევრმეტყველებდნენ. გუგუნებდა მრავალყამიერ. იცლებოდა სასმისები. სიძე ქალის წაყვანას ჩქარობდა. ქორწილი მის სახლში უნდა გაგრძელებულიყო.

ძაბა სუფრასთან არც ჩამომჯდარა. ოთახიდან ოთახში მიმოდიოდა, სტუმარ-მასპინძელთა სადღეგრძელოებს ღიმილით უქნევდა თავს და ყურადღებით ადევნებდა თვალს — ვინმეს საჭმელი სასმელი არ დაკლებოდა. ათეული წლობით დამგლოვიარებულ ოთახებს თითქოს სული ჩასდგომოდა, გამოცოცხლებულიყვნენ...

...შებინდებისას ნეფე და მაყრები წამოიშალნენ. დამორცხვებული პატარძალი შუაში ჩაიყენეს და მხიარული შეძახილებით გადმოვიდნენ ეზოდან. სიძის მაყრიონს პატარძლისეულიც შეუერთდა და სოფლის შარაზე ყვავილებით მორთული მანქანების გრძელი რიგი გაიჭიმა.

ქალიშვილი და სიძე სახლიდან რომ გააცილა, ძაბას თვალები დაუნაღვლიანდა. ფარული სევდა, რომელიც თან ახლავს ქალიშვილის გამთხოვებელ დედას, მასაც შემოჰგზნებოდა გულზე. თვითონ ამ საღამოს ვერ დაესწრებოდა შვილის ქორწილს. ამას ითხოვდა ადათი და საქმეც: სახლს დალაგება სჭირდებოდა... და ამ განშორების წუთებში ძაბამ უფრო ცხადად იგრძნო, რომ ქალიშვილსა და მას შორის რაღაც ჩაიხეთქა...

მეზობლის ქალები ძაბას გვიან ღამემდე მხარში ედგნენ. ნაქეიფარი ჭურჭელი ერთად შეაგროვეს და დარეცხეს, ოთახებიდან ზედმეტი მაგიდები გაიტანეს, იქაურობა დაწმინდ-დაკრიალეს. მერე სახელდახელოდ გაშალეს სუფრა და მხიარულად შემოუსხდნენ.

— ძაბა სად არის? ძაბას დაუძახეთ! — ბრძანა ქალების თამადამ.

— ძაბა! ძაბა!

პასუხი არ ისმოდა.

მეზობელთა ბავშვები, რომლებიც თავიანთ დედებს მოჰყოლოდნენ და ქორწილის ორომტრიალის დამსწრენი და მონაწილენი იყვნენ, ელნათურებით გაჩირაღდნებულ ეზოში გაცვივდნენ, მაგრამ ძაბას კვალს ვერსად მიაგნეს.

— სად გაქრა? — კვიროდნენ ქალები და ეხლაღა აგონდებოდათ, რომ კარგა ხანი იყო ძაბა მათ შორის არ ჩანდა.

უცებ ქვემოდან ბავშვების ყვირილ მოესმათ. მაგიდაზე მსხდომთ სიტყვები ბაგეზე შეაცივდათ და გახევდნენ. მერე ყველანი სამზადის უკანა ოთახს მიაწყდნენ, საიდანაც ხმაური გამოდიოდა. აქ მარანი იყო. სინათლე ენთო. კუთხეში, სადაც 1941 წელს ჩაწურული ღვინით სავსე ქვევრებს ჩალისფრად გადაგლესილი თავები მოუჩენდათ, მიწაზე მოკუნტული იწვა ძაბა სამუშაო. ხანთლისფერი ედო სახეზე. მარჯვენა ხელი ქვევრის თავისთვის შემოეხვია, მკერდით ჩაჰკვროდა, თავიც ზედ მიედო, წინ გადავარდნილი მარცხენა ხელის მტევანი მაერში დარჩენოდა გაწვდილი...

თამაზ ფიფია

...დაიბადა მეგობარი

ქართველი და ჩეხი ხალხების მეგობრობა, მათი კულტურული კავშირურთიერთობა XIX საუკუნის დამდეგიდან იწყება და ვითარდება. ჩეხოსლოვაკიაში მყოფ ქართველთაგან ამ ურთიერთობის პირველი მერცხალი თეიმურაზ ბატონიშვილია, ხოლო საქართველოში მყოფ ჩეხთაგან — იოსიფ რატილი.

თეიმურაზ ბატონიშვილი (ბაგრატიონი) საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილი, თავისი დროისათვის დიდად განათლებული ადამიანი იყო. ქართული და რუსული ენების გარდა, იცოდა ბერძნული, არაბული და სპარსული. აქტიურად თანამშრომლობდა „პარიზის სააზიო საზოგადოებაში", ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ მეცნიერთან — აკადემიკოს მარი ბროსეთან, რომელიც თავის თავს თეიმურაზ ბატონიშვილის მოწაფედ თვლიდა.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე 1838 წელს მარი ბროსე ამბობდა: „არ შემიძლია განუცვიფრებლად წარმოვთქვა თეიმურაზის სახელი, რომელშიც მაღალი ზნეობა შეერთებულია განათლებულ გონებასა და დიდ ცოდნასთან, რომელიც მწერლობით შრომაში პოულობს კეთილშობილ გასართობს, რომლის მიზანია თავისი შრომით უკვდავყოს ხსენება თავისი ერისა, ამ ადამიანის მდაბალ მოწაფედ — სინდისქვეშ უნდა ვთქვა — ვაღიარებ ჩემს თავს".

თეიმურაზ ბატონიშვილი თანამშრომლობდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში. მას აფასებდნენ როგორც საქართველოს ისტორიის დიდ მცოდნეს. და 1837 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სპატიო წევრად აირჩიეს. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ათეული შრომა საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია „განმარტებითი ლექსიკონი „ვეფხისტყაოსნისა". საინტერესოა აგრეთვე სამოგზაურო-მემუარული ჟანრის ნაშრომი „მოგზაურობა ჩემი ევროპისა და სხვათა და სხვათა ადგილთა".

1836 წლის მაისში თეიმურაზ ბატონიშვილი სამკურნალოდ გაემგზავრა ბოჰემიაში (ჩეხიაში). გზად გაიარა ლიფლანდია, კურლანდია, პოლონეთი, პრუსია, პომერანია, მეკლენბურგის სამთავრო, საქსონია და ბოჰემია. ქართველმა მეცნიერმა მოგვცა ნანახი ქვეყნების საკმაოდ ვრცელი და საინტერესო აღწერა. ეს არის ეთნოგრაფიული, დემოგრაფიული, გეოგრაფიული, ლინგვისტური, რელიგიური, ისტორიული, ლიტერატურული და არქეოლოგიური ცნობების საუნჯე, საინტერესო ცნობარი იმდროინდელი ევროპის ზოგი ქვეყნის ყოფა-ცხოვრებაზე.

თეიმურაზ ბატონიშვილის მოგზაურობა და მისი საინტერესო შრომა შესანიშნავი ძეგლია, რომელიც პირველად ქალაქ ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებში აღმოჩნდა და 1944 წელს ცალკე წიგნად გამოიცა სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით, წერილითა და შენიშვნებით.

ღრმა პატრიოტიზმი, ევროპული განათლება, მეცნიერული სიზუსტე, ზნეობრივი სიფაქიზე, დახვეწილი ესთეტიკური გემოვნება „მოგზაურობის" ავტორის ის თვისებები იყო, რითაც დიდი პატივისცემა დაიმსახურა თავის თანამედროვეებს შორის.

ქართველ მეცნიერს უცხო ქვეყანა მოსწონებია და ძალზე დიდი ყოფილა მისი პირველი შთაბეჭდილება. „ბოჰემის ქვეყანა ბუნებით ფრიად მაგარი არს, დიდ-დიდთა მთათა, გორათა, ხევთა კლდიერთა, იწრობათა გზათა და შესავალთა და ტყეთა მიერ".

მთელ შრომაში არც ერთი კუთხე თუ ქალაქი არ არის ისე ვრცლად და საინტერესოდ აღწერილი, როგორც სამკურნალო კარლსბადი (ამჟამად კარლოვი ვარი).

თეიმურაზ ბატონიშვილი განსაკუთრებით აღტაცებული იყო ადგილობრივი მცხოვრებლების მაღალი მუსიკალური კულტურით. „მშვენიერი მუზიკა იკვრის, — წერს თეიმურაზი,—ესრეთი რომელი, კარლისბადში რომ მუზიკა გავიგონე, იმისთანა ჩინებული მუზიკა სრულიად გერმანიაში ძვირად სადმე ვნახეთ. ხოლმელები ფრიად ნაკებნი არიან ყოველს საკრავში და მათ შორის ძვირად იპოვება კაცი, რომ მუზიკა არ იცოდეს".

თეიმურაზ ბატონიშვილის ამ შრომის წყალობით ქართველი საზოგადოება უკვე XIX საუკუნის პირველ ნახევარში ეცნობა ჩეხიას. ეს შრომა ქართველი და ჩეხოსლოვაკელი ხალხების მეგობრული ურთიერთობის უტყუარი საბუთია. ქართველი მეცნიერის ნაშრომს ამჟამადაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და ჩეხიის ბუნების პოეტური აღწერა ადამიანის მეხსიერებაში აღადგენს იმ შორეული და ლამაზი კუთხის სურათს, რომელსაც დღეს ჩეხოსლოვაკია ეწოდება.

თუ თეიმურაზ ბატონიშვილი პირველი ქართველია, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში იყო, სამაგიეროდ ჩეხოსლოვაკიის მოღვაწეთაგან, რომლებიც საქართველოში იყვნენ, პირველ რიგში შეიძლება დავასახელოთ იოსიფ რატილი, ადოლფ პოლივკა, იან კუბელიკი, ივანე პრიბილი და სხვები, რომლებმაც თავიანთი ნაყოფიერი მოღვაწეობით დიდი ამაგი დასდეს ქართულ კულტურას.

მუსიკისადმი უსაზღვრო სიყვარული — აი თვისება, რომელიც განსაკუთრებით ახასიათებს ორსავე ერს და უფრო ახლოებელსა და გასაგებს ხდის მათ მეგობრობას. ხალხური მუსიკალური კულტურის სიმდიდრე არაჩვეულებრივად დიდია ქართველი და ჩეხოსლოვაკელი ხალხების ხელოვნების საგანძურში.

როგორც ჩეხი, ისე ქართველი ხალხებისათვის საინტერესო პიროვნებაა იოსიფ რატილი (ნამდვილი გვარი ნავრატილი, ბოლო „რატილი" — სასცენო ფსევდონიმია). იგი 1880 წლის მარტში რუსულ დასთან ერთად თბილისში ჩამოვიდა. საოპერო დასში რატილმა წამყვანი მომღერლის სახელი რომ მოიხვეჭა, ამაზე მეტყველებს იმ პარტიების სია, რომელსაც იგი ასრულებდა თბილისის სცენაზე გამოჩენილ მომღერალ პავლოსკაიასთან ერთად.

იოსიფ რატილს ისე მოეწონა საქართველოს ბუნება, ქართველი ხალხი, მისი მუსიკალური კულტურა, რომ საბოლოოდ აქ დარჩენა გადაწყვიტა და მალე ცოლ-შვილიც პრაღიდან თბილისში ჩამოიყვანა. თბილისის საოპერო დასში ხუთ წელიწადს სოლისტად ყოფნის შემდეგ, მან თავი დაანება თეატრს და ისევ პედაგოგიურ მუშაობას დაუბრუნდა.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე რატილის ყურადღება ქართული ხალხური სიმღერის თავისებურებამ და მრავალხმიანობის ნაირსახეობამ მიიპყრო. მალე იგი შეუდგა ქართული სიმღერის შესწავლას და ქართული ხალხური მუსიკით დაინტერესებულმა რამდენიმე სიმღერაც ჩაწერა.

იოსიფ რატილი დაუახლოვდა საქართველოს გამოჩენილ ადამიანებს —ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს, ალექსანდრე ყაზბეგს, სერგო მესხს, ქართული მუსიკის მოამაგეებს: ხარლამპი სავანელს, ლადო აღნიაშვილს, მელიტონ ბალანჩივაძეს, ვლერიან გუნიას, ფილიმონ ქორიძეს, ია კარგარეთელს, ვასო აბაშიძეს, ლადო მესხიშვილს, ზაქარია ჩხიკვაძესა და სხვებს, რომლებმაც დიდად შეუწყეს ხელი რატილის სამუსიკო მოღვაწეობას საქართველოში.

რატილის ნამდვილი მუშაობა ქართული მუსიკალური კულტურის დარგში 1885 წლიდან იწყება, როცა თავი დაანება თბილისის საოპერო დასს და ქართული მუსიკით გატაცებულმა მუშაობა დაიწყო ლოტბარად ლადო აღნიაშვილის მიერ იმავე წელს დაარსებულ ქართულ ეთნოგრაფიულ გუნდში. უკვე 1886 წლის შემოდგომაზე გუნდს რეპერტუარი მზად ჰქონდა. 15 ნოემბერს გაიმართა პირველი კონცერტი, რომლის პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო და შეიცავდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს, აგრეთვე უცხოურ სიმღერებს.

ილიამ თავის „ივერიაში" ამ მოვლენას უძღვნა ორი ჩინებული სტატია, სადაც უდიდეს აღფრთოვანებასა და იმედს გამოთქვამდა გუნდის დაარსების გამო და ქებით იხსენიებდა მის შემქმნელებს.

„დიდი მადლობა გვმართებს ბ. აღნიაშვილისა, რომელმაც ეს მართლაც სახელოვანი საქმე იკისრა, შეჰყარა ხორო, გაგვიმართა ქართული კონცერტი და დაგვატკბო იმ მივიწყებულის ხმებით, რომლითაც მღეროდნენ ჩვენი წინაპარნი და რომელთაც ისეთის აღტაცებით ისმენდა იმ ღამეს თეატრში შეყრილი საზოგადოება... არა ნაკლებ მადლობის ღირსია ბატონი რატილი, ეს უცხო კაცი, რომელმაც მოამზადა და გასწურთნა იგი ხორო".

კონცერტის ესოდენმა წარმატებამ დიდად წაახალისა რატილი. მან თანდათანობით გაზარდა გუნდის რეპერტუარი. გუნდი ხშირად დადიოდა საგასტროლოდ საქართველოს ქალაქებსა და დაბებში, სადაც ფართო საზოგადოებრიობა მის კონცერტებს აღფრთოვანებული ხვდებოდა.

1889 წელს იოსიფ რატილმა უკვე საკუთარი გუნდი ჩამოაყალიბა, რომელსაც კვლავ დიდი მოწონება ჰქონდა. ამ გუნდის დამსახურებაა ცალკეულ ქართულ სპექტაკლებში მონაწილეობა, რაც, პრესის ცნობით, ხელს უწყობდა სპექტაკლების წარმატებას.

გუნდი ხშირად გამოდიოდა აგრეთვე საქველმოქმედო მიზნით გამართულ საღამო-კონცერტებზე ხელმოკლე საზოგადო მოღვაწეთა დასახმარებლად, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ, ქართველ მსახიობთა საბენეფისოდ მოწყობილ საღამოებზე, გამოჩენილ მოღვაწეთა იუბილეებზე, რასაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ პერიოდში. თითთეული ამგვარი წამოწყება ხომ მასობრივ სასიათს ატარებდა და მთელი საქართველოსათვის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა.

რატილის გუნდი იმდენად პოპულარული გახდა საქართველოში, რომ რუსეთში საგასტროლო მოგზაურობის საშუალება შეექმნა. ამის შესახებ საინტერესო ცნობები შეგვინახა „ივერიამ".

ჩეხი მუსიკოსი იოსიფ რატილი ჩვენთვის ძვირფასია აგრეთვე როგორც ქართული ხალხური შემოქმედების შემკრები და ქართული სიმღერების შესანიშნავი შემსრულებელი. რატილმა ორმოცამდე სიმღერა შეუნარჩუნა თავის მეორე სამშობლოს: „დიამბეგო" და „ალილო", „კახური სუფრული" და „ქვედრულა", „პატარა საყვარელო" და „ხელსხვაი"...

„ის ერი ერობს, ის ხალხი ხალხობს, რომელსაც უხვად შერჩენია თავისი ენა, ჰანგი და კილო. კაცისათვის უძვირფასესი საუნჯე დედაენაა, სამშობლოს საგალობლები და ჰანგები. გარდაქმნა, გადაგვარება იმ ხალხისა, რომელსაც მდიდარი ენა, ხმები და ჰანგები, აქვს, შეუძლებელია. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იმდენი სხვადასხვა საგალობელია, იმდენი მდიდარი ჰანგია, რომ მე სხვა ქვეყანას ვერ დავასახელებ, რომელიც ამ მხრივ საქართველოს შეედაროს. მეტადრე მდიდარია საქართველო ხოროთი სათქმელი ხმებით, რომელთა შორის მრავალი ნამდვილი სიმფონიაა და ხიბლავს ევროპელის სმენას" — ესეთ მაღალ შეფასებას აძლევდა იოსიფ რატილი ქართულ სასიმღერო ხელოვნებას. ქართველი ხალხი სათუთად ინახავს ჩვენი ეროვნული მუსიკის დიდი მოამაგის ხსოვნას, რომელმაც საყოველთაო სიყვარულით გამთბარი 32 წელი საქართველოში გაატარა.

ალეკო კაკულია

ი ც ნ ო ბ დ ე თ „რ ე რ ო ს"



საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული საესტრადო ანსამბლი „რერო".

ხელმძღვანელები — ბიძინა კვერნაძე და კონსტანტინე პევზნერი, დამდგმელი-რეჟისორი — გიგა ლორთქიფანიძე; მხატვარი — ოთარ ლითანიშვილი, ცეკვები დადგეს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა ვახტანგ ჭაბუკიანმა და ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გიორგი დარახველიძემ; პროგრამაშია კომპოზიტორ აღექსი მაჭავარიანის, რევაზ ლაღიძის, სულხან ცინცაძის, არჩილ კერესელიძის, დავით თორაძის, შოთა მილორავას, გიორგი ცაბაძის, კონსტანტინე პევზნერისა და სხვათა ნაწარმოებები. პროგრამა მიჰყავთ ქართლოს კასრაძესა და გია ჭირაქაძეს; სოლისტები: ნანი ბრეგვაძე, ნაზი დუმბაძე; მარეხ გოძიაშვილის, კონსტანტინე მაკარიძისა და რობერტ ბარძიმაშვილის ტრიო; დიდიმ ლოგუა, კვარტეტი — გურამ გუგუშვილი, შოთა ზარაბაძე, გურამ ბაკურაძე, თენგიზ ჯაფარიძე; მოცეკვავეები: გივი ტაბახმელაშვილი, კუკური ძნელაძე...

ეს იყო „რეროს" პირველი აფიშა ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ. ცნობილმა ქართველმა მომღერლებმა ლილი გეგელიამ, გიული ჩოხელმა, ნანი ბრეგვაძემ, ნაზი დუმბაძემ, ირმა სოხაძემ, სულიკო კოროშინაძემ, დემურ ცქიტიშვილმა და სხვებმა აქ მიიღეს პირველი საესტრადო ნათლობა. ენთუზიაზმი ორკესტრის წევრთა მუდმივი თანამგზავრი გახლდათ. დაძაბული შრომა, შემოქმედებითი ძიება, წარმატებები და წარუმატებლობა მათთვის არ იყო უცნობი, არც ნომრის ჩავარდნით გამოწვეული ტკივილი, არც ოვაციები... შემდეგ საგასტროლო გზებმა გადასერა მთელი საბჭოთა კავშირი, გასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს, მომძე თუ უცხო ქვეყნის ხალხებიც აზიარა ქართული სიმღერის მადლს.

დღესდღეობით ჩვენს წინაშეა 6 ათეულწევრიანი სოლიდური ორკესტრი, რომლის მხატვრული ხელმძღვანელია საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი კონსტანტინე პევზნერი, დირექტორი — საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვალერიან კალანდაძე. ორკესტრს ჰყავს საუცხოო სოლისტები, რომელთაც მსმენელები დიდი მოწონებით ხვდებიან: თემურ ცაგურია, ნანა ნაღებაშვილი, მედეა კალანდაძე, გუნო ონაშვილი, ვოკალურ-საკრავიერი დუეტი — მაყვალა ბოტკოველი და არჩილ ჩიხლაძე, ორიგინალური ჟანრის — თოჯინების პაროდიის წარმომადგენელნი ალა და რობერტ ზალინაშვილები, ქალთა და ვაჟთა 18-წევრიანი საბალეტო ჯგუფი. შესანიშნავად, ხალისიანად მიჰყავს პროგრამა კოხტერანსიეს — რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს გია ჭირაქაძეს.

„რერო" გვახარებს ანსამბლური ოსტატობით, მუსიკალური ფერთა სიუხვით, პროგრამის მრავალეროვნებით. ნიჭიერი კოლექტივი შემოქმედებითად იზრდება, იხვეწება. შექმნილია ახალი პროგრამა მუზიკ-ჰოლის სტილში, რომელიც ეროვნული კოლორიტით გამოირჩევა. ეს არის არა მარტო საესტრადო კონცერტი, არამედ რევიუს სახის მუსიკალური საესტრადო წარმოდგენა. ამ ახალ პროგრამაზე ხათელი წარმოდგენა რომ იქონიოთ, უნდა ნახოთ სრულმეტრაჟიანი მუსიკალურ-მხატვრული ფერადი ფილმი „რერო" იღებს სტუმრებს"...

მაყურებელთა დიდ მოწონებას იმსახურებს ახალგაზრდა სოლისტების — ნანა ხაღებაშვილის, თემურ ცაგურიას, მაყვალა ბოტკოველისა და არჩილ ჩიხლაძის, გენო ონაშვილის საშემსრულებლო ოსტატობა, მომზიდველი კორდებალეტი.

მოსკოვის რადიომ „რეროს" ანსამბლს ვირტუოზი შემსრულებელი უწოდა. ჩაიწერა მისი კონცერტი, რომლის 30-წუთიან მონტაჟს გადასცემენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის ინგლისურ, ესპანურ, პოლონურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

დღეს ანსამბლი გაცხოველუბით მუშაობს ახალ პროგრამაზე. ხუმრობა საქმე როდია — მალე ანსამბლი თავისი არსებობის თხუთმეტი წლისთავს აღნიშნავს.

ვუსურვოთ შემდგომი წარმატებები და შემოქმედებითი წინსვლა ახალგაზრდა ნიჭიერ კოლექტივს.

ნათია ახობაძე



სურათებზე: ზევით — შესანიშნავ პარტნიორობას უწევს კონფერანსიე გია ჭირაქაძე ესტრადის სოლისტს ნანა ნაღებაშვილს. მღერის თემურ ცაგურია.

„სოვეტ გიურჯუსტანს“

გაზეთი „სამშობლო“ პატივისცემით და ძმური სიყვარულით მიესალმება საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრებ აზერბაიჯანელთათვის 50 წლის წინათ დაარსებულ გაზეთს „სოვეტ გიურჯუსტანს“, ულოცავს სახელოვან იუბილეს და უსურვებს ყოველ მის მუშაკს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, წარმატებით შემოქმედებით შრომას იმ კეთილშობილური საქმის სამსახურში, რასაც ხალხთა შორის ძმური მეგობრობა უდევს საფუძვლად.

აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების ადრინდელი კეთილმეზობლობა დღეს საბჭოთა ხალხთა ლენინურ ოჯახში ძმობამდე არის აღზავებული, რაც ხელს უწყობს ორივე ერის სიკეთესა და ბედნიერებას. ჩვენი — ჟურნალისტების წმიდათა-წმიდა ვალია ხელი შევუწყოთ საბჭოთა ხალხების ამ ძმობასა და ერთობას. „სამშობლოს“ კოლექტივი, ისევე როგორც ყველა ქართველი ჟურნალისტი, ღრმად არის დარწმუნებული, რომ თვითეული თქვენგანი ცოდნასა და ძალას არ დაიშურებს ხალხთა შორის ძმობისა და სიყვარულის გაღვივების კეთილშობილურ საქმისათვის.

თქვენი იუბილე აღინიშნება საბჭოთა ხალხების ძმათა-ძმობის საფუძვლის, დიადი საბჭოთა კავშირის დაარსების ორმოცდამეათე წელიწადს, რაიც კიდევ ერთი ბედნიერი შუქურაა თქვენი კეთილშობილური გზის გასაჩირაღდნებლად.

იოსებ ნონეშვილი

კოტე მარჯანიშვილის იუბილეზე თქმული

დამარჯნებულა ქახეთი,
ბაღ-ვენახს მარჯნის ფერი აქვს,
ციხეებს, ლოდებახეთქილს,
მარჯანი შემოჰფენია.
ქარგა და ღალი გახშირდა —
საშემოდგომო ფერები...
შენს თეატრონად გაშლილან
ივრის,
ალაზნის ველები.
გომბორი გებუბუნება,
შენს სადიდებელს ღაღადებს,
საშენსპექტაკლოდ ბუნებაც
აფენს ნაირფერ ნახატებს.
და მუდამ სათაყვანები,
გულში მზედ ჩაუქრობელი
თითქოს ფრთებს ისხამს ყვარელი —
შენი პატარა სოფელი.
ზოგ-ზოგს არ ჰგავდი...
მრავალ წელს
ბედმა მრავალ ხალხს შეგყარა,
მაგრამ შენ არ დაივიწყე
დედაენა და ქვეყანა.
გოლგასთან,
დნეპრთან იდექი,
თუ დაუგავას ბურუსში,
ზედ გულზე გესეთქებოდა
შენი პატარა დურუჯი.
მოყვარეს მოყვრად ხვდებოდი,
ძმობის რამდენი ხე დარგე,
სადაც შენ გამოჩნდებოდი,
იქ საქართველოს ხედავდნენ,
ამბობენ, როცა ვატკბეცი
იწვოდა, იფერფლებოდა,
გულს არაფერი დააკლდა,
„გული გულადვე რჩებოდა“...
რამეთუ გული არ კვდება,
რამეთუ საქმე არ კვდება,
რამეთუ წმინდა სახელებს
შუქ-მადლი აღარ აკლდებათ.
უფროდაუფრო ბრწყინავენ,
ელერენ მზის ოქროს სიმებად,
ჩვენდა თავმოსაწონებლად,
მაგალითად და იმედად.

კაი ყმა

ლადო მრელაშვილი

ბარგ ყმად ვინა ვთქვათ, ვაუბედო,
ნათქვამი არა
გვრცხვენოდეს...

ვაჟა-ფშაველა

ლონგო!

მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა შენზე, ლონგო!

ჩვენი პრესის ფურცლებიდან მრავალთათვის მითქვამს გულთბილი სიტყვა. შენზე კი არასოდეს დამიწერია.

შენ ყოველთვის გაურბოდი დიდი ტრიბუნიდან შენზე რამის თქმას.

როცა სამამულო ომიდან დაბრუნდი, რამდენიმე ჭრილობა და ბევრი ორდენ-მედალი ჩამოიტანე. ომზე რომ გკითხე, მიპასუხე:

— რა ვიცი, ვიბრძოდი... როგორც სხვები იბრძოდნენ, მეც იგრე ვიბრძოდი... შენა, გესმიის... არაფერი დასწერო ჩემზე, — იტყოდი: თანასოფლელიაო.

მხოლოდ ერთხელ, გვიან, — როდესაც შენ უკვე კოლმეურნეობას თავმჯდომარეობდი იყალთოში, შენს კაბინეტში მარტო დარჩენილები ვსაუბრობდით შიშზე, უნებურად მოჰყევი, ომის პირველ თვეებში ქვეითმა როგორ გადაარჩინე მთელი ბატარეა მტრის ხელში ჩავარდნას. ზოზინით ნათქვამ ძუნწ სიტყვებს იქით მე დავინახე, როგორი დინჯად, აუღელვებლად მიხვედი შიშისაგან ათრთოლებულ ცხენებთან. მერე ჩვეულებრივ — მოკლე-მოკლე ხველებით ხმა ჩაიწმინდე და კუნაპეტ ღამეში გაფანტულ დაფეთებულ არტილერისტებს მოუხმე:

— თქვენა, გესმიით... რა გაფრთხობთ, თქვე მამაოხრისშვილებო. წინა ქვემეხი ჯუანტობში ჩამალულ კუნძს წამოსდებია!..

შეხანიშნავ აგრონომს, როცა სოციალისტური შრომის გმირობა მოგცეს, მაშინაც თავიდან აიცილე მაგ თემაზე საუბარი:

— საცა სოფლის ნახირი, იქაც ბებრის ხბოო... რა ვიცი, მომცეს კია და... შენა, გესმიის, არაფერი დასწერო, იტყოდი: მეგობარიაო.

და მე არაფერი დამიწერია.

ჩვენი შეხვედრების დროს ვსაუბრობდით შეკსპირსა და ვილიამსის „მიწათმოქმედების საფუძვლებზე“, სერვანტესსა და ავსტრიელი ბერის მენდელის „ბარდას კანონებზე“, დოსტოევსკიზე და ლისენკოს „აგრობიოლოგიის“ შეცდომებზე, დარვინზე, სტეინბეკსა და ჰემინგუეიზე, კინოში ჩვენი მსახიობების დიქციაზე, ვაჟასა და ბერნსზე, თანამედროვე ქართულ პოეზიასა და პროზაზე, ჩემს წიგნებსა და მომავალ გეგმებზე, ქართველებში შობადობის სიმცირეზეც კი, მაგრამ შენზე არასოდეს გვილაპარაკია... შენ ყოველთვის გაურბოდი შენს თავზე ლაპარაკს.

მე დავსწრებივარ იყალთოში კოლმეურნეობის გამგეობის კრებებს და ყოველთვის მხიბლავდა შენი ნათელი გონება, საქმის დინჯი, სწორი გადაწყვეტა და რბილი იუმორი.

— ერთხელ, ლადო, გესმიის... გრიგოლ აბაშიძე, ბესო ყიფიანი და ნონეშვილი ამოვიდნენ იყალთოს აკადემიაში... დიდხანს ათვალიერებდნენ. მეც იქ ვიყავი და ვიფიქრე: ესენიც ჩვენისთანა თიხისაგან არიან ნაკეთებნი, აქამდის პური მოშივდებოდათ-მეთქი... მივედი და ვუთხარი:

— აქაური თავმჯდომარე ვარ, ყველას გიცნობთ და ჩემთან წამობრძანდით-მეთქი...

წამოვიდნენ.

სამმილიან წყაროსთან გავჩერდით, „მოვედით-მეთქი“...

გამოჰყევს თავი მანქანიდან და ნიერი პროზაიკოსი და დიდებული კრიტიკოსი გიორგი ნატროშვილი შენი ჰაბუკობის მეგობარი იყო...

არა, არ იფიქრო, ამით შენს ერუდიციას ჩრდილს ვაყენებდე. მე მხოლოდ ის მინდა ვთქვა: ვიპოვე კაცი, რომელთანაც ჩემი შთაბეჭდილებების სისწორეს შევამოწმებდი...

— აბა, რა გითხრა, ლადო, — წაწერებიდან თავს იღებს და სათვალეს შუბლზე იწევს გიორგი, — უაზარმაზი გავიცანით ერთმანეთი. მგონი 33 წელს. გოლიათური ტანისა იყო. კეთილი, ამტანი, გამტანი და უნაკვლო. სიმღერა იცოდა გადახარუვი. როცა საღამოთი დაღლილ-დაქანცულები, ენაგადმოგდებულები „შინ“ ტომად გავაქცევდით და ჭამრის ბოლოებს ხელჩაყლებულები ჩვენც გავრბოდით. როგორ უხაროდა შორს რომ ვახტუნებდით. ხშირად განგებ გადახტომამდე მოვწუწუტდით მიწას და ხირბილში პაერშიღა იჭნევდა ფეხებს... უკვე ხთხითებს გიორგი. — ჰკითხე, აბა, თვითონ ჰკითხე, განა არ ეხსომება...

ლონგო რომ უაზარმაში მოვიდა, პალტო თან მოიტანა, მერე ველარაფრით მოიშორა თავიდან. შემდეგ მანევრებზე წავედით კარგა ხნით. არ ვიცი, უაზარმაში რატომ ვერ დატოვა. იღლიაში ამოიჩარა და მწყობრში ისე ჩადგა, თბილისში ნათესავი ჰყავდა და იმ ქუჩაზე უნდა გაევლო. მწყობრში არც ლაპარაკი შეიძლებოდა და არც მწყობრიდან გამოსვლა. იმ სახლს რომ მივუახლოვდით, ლონგომ ურმულას ხმაზე შემოხარხარა:

ჩვენ მანევრებზე მივდიო-ვაართ,
აი იმ გალმა გორეეე-ბთაან,
გამოდი, ბიჭო, ვანუაააე,
ეს პალტო მამაშორეე-თააააა.

ნათესავებმა ხმაზე იცნეს, გამოვიდნენ და გამოართვეს...

ერთხელ, არ მახსოვს სად ვიყიდეთ, სამამულო ომი ახალი დაწყებული იყო. რაღაც სკოლის მაგვარივით იყო; ოცეულის მეთაურებად უნდა ვქცეულიყავით. უაბარდოდან გაუხედნავი, პირდაპირ ველური ცხენები მოგვიყვანეს და დაგვირიგეს, თქვენ თვითონ უნდა გახედოთო, ჩვენ რომელი ცხენთამხედწელები ვიყავით? სამოოთხი წლის კვიცები იყვნენ, — ლაგამს კვნეტდნენ. ლონგომ რაღაცა მოიფიქრა. გრძელი თოკი წავაბით კისერზე, თოკის ბოლო მე დამაჭერინა, თვითონ შოლტით დასდევდა უკან და ჭარივით დაატროლებდა ჩემს ირგვლივ, როცა დაიღალა, მე შევუნაცვლე. შუადღემდე ისე დაიქანცა ნაწყალი ცხენი, ბარბაცებდა. უნაგირი რომ დავადგით, ჩუჩუნიც არ გაუღია...

ყველაზე მეტად კი ერთი ამბავი ჩამრჩა გონებაში: უაზარმიდან გამოვედით ოცეულებად დაწყობილი და ქალაქგარეთ მივდივართ. ჭუჩაში, ვიღაცამ მეორე სართულის აივნიდან მთელი ტაშტი წყალი გადმოღვარა. ცხენები დაგვიფრთხნენ და შევიჩერდით. წყალი ორად გაიყო და მტვრიან ჭუჩაში ორ ნაკადად გაიკვლია გზა. ომის მეორე თვეა და ჩვენ უკან ვიხევთ. — თავში სულ ეს გვაქვს ჩაჭედილი. ვიღაცამ იყვირა:

— დაიცათ, ბიჭებო! მოდი, ჩავუთქვათ: თუ ეს ორი ნაკადი ბოლოს მაინც შეერთდა, ჩვენ გავიმარჯვებთ!

მთელი ასეული შეჩერდა, ვდგავართ და ვუცდით. ნაკადები კი მიდიან თავისი გზით და აზრად არა აქვთ შეერთება. ლამის წყადი მთლად დაეშრიტოს. ვდგავართ უსიტყვოდ, გაშეშებულნი და სახედაღრეჯილნი. ცხენებიც კი არა ფრუტუნებენ, თითქოს ჩვენი განწყობილება გადაედოთო.

— თქვენა, გესმიით!—რას ჩამოგიურიათ უურებიო?! — უცებ ლონგომ ცხენს ჭუსლი ჰკრა, იშიშვლა ხმალი, გადაიხარა და ხმალს წვერით ორივე ნაკადს ერთმანეთისაკენ გზა გაუკვალა. — ანდე, ახა! — ეგეც თქვენი შეერთებაა! არც ეხლა გაიმარჯვებთ?!

და შენ არ იცი, ლადო, როგორი საჭირო იყო მაშინ ჩვენთვის ლონგოება, თიოქმის ყოველ ახლას ბაყვდა თავისი ლონგო... და რაღა მაშინ? — განა ახლა კი ლონგო არა ლონგოობს?...

მაი, მაი, ჩემო გიორგი, რომ ლონგო ისევ ლონგოობს!..

შენ სიმღერა შეუყე. სიმღერა არსენაშვილებს ოდითგანვე ჯიშად მოსდგამთ. მაგისი მამა გიორგი ძალიან კარგად მღეროდა, მაგისი და ანეტოც მღერის, ძმა ლადიკოც და თვითონ ლონგოს ბიჭებიც მამის კვალზე მიდიან: უფროსი გოგა ახპირანტურას ამთავრებს და მალე დისერტაციას დაიცავს, უმცროსი — ზურაბი კონდოლის კოლმეურნეობის მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორია. შებედავ და ავთვალს არ ენახვება, ისეთი ბიჭები არიან. ოღონდ რა სამწუხაროა, რომ იმ ბუდიდან მხოლოდ ეგ ორი მართვე აფრინდა!..

ლონგო!

შენს მამაპაპეულ სახლზე ჩამოვარდა სიტყვა. არ მინდა ამ წერილის მკითხველმა ისე გამიგოს, თითქოს იმაზე უკეთეს სახლზე ფარს ამბობდე, მშვენიერი სახლი გაქვს თელავში. შენი ხათრი მეულლის მიერ ფაქიზად, უბრალოდ და ლამაზად მოვლილი. შენ ვერავინ დაგიწუნებს გემოვნებას, მაგრამ შენს ოჯახში ნივთი არასოდეს უქცევიათ ფეტიშად. ამჭეყნიური სიტკბო-სიუხვეზე არავინ იტყვის უარს, მაგრამ შენ მუდამ გახსოვს: ადამიანის ადამიანად ქცევას სახიერკვლად სულიერი კულტურა უდევს. თურქებს აქვთ ერთი ანდაზა: დათვმა ორმოცი სიმღერა იცოდა და აქედან ოცდაცხრამეტი — პანტაზეო. ჭირმა წაიღოს ასეთი ხალხი. და თუ მართლა სადმე იყვნენ, — თავად დათვებიც! — შენი ორმოცივე სიმღერა სხვადასხვაა და ყოველი მათგანი შენი ხალხისა და ქვეყნის სადიდებელია.

დაე, მომიტევოს ჩემმა უფროსმა მეგობარმა, მაგრამ ვერ მოვითმენ, რომ არ შევნიშნო: გიორგი ნატროლი, ვისი სახელიც რომელიც გიწდა რესპუბლიკის ლიტერატურას დაამშვენებს, რატომ თუნდაც ერთხელ არ დაინტერესდა შენით და ერთი ნოველა მაინც არ შეჭმნა შენზე?

მე ჩემდა თავად იყალთოელებს ვერასოდეს ვერ ვაპატიებ, რომ შენ შალაურის სანერგე მეურნეობის დირექტორად გაგიმეტეს...

ამას წინათ ვიყავი შენთან. შენებურად ხველებ-ხველებით ჩაიწმინდე ყელი და მეუბნები:

— შენა, ლადო, გესმიის... აი, მიწის ახალ კანონზე გელაპარაკები. ცენტრალურ კომიტეტს გავუგზავნე ჩემი მოსაზრება და, გესმიის, ახლა პასუხს ველოდები. მთელი ორი დამე გავათენე მაგაზე ფიქრში...

ალალი იყოს, ლონგო, შენი ხალხისთვის შენგან გათეული ღამეები. და თუ დასჭირდათ, მჭერა, არაფერს დაიშურებ და შენი ქვეყნის დამსთევაში შემოიდამებ!..

დღა ნახე, მაძა ნახე...

ახლახან გლაზოვში დამთავრდა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება ფიგურულ სრიალში. სხვებთან ერთად საპატიო ჯილდოს მოსაპოვებლად მოსკოვში მცხოვრები ქართველი გოგონა მარინე სანაიაც იბრძოდა.

მარინემ პირველი დღიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა და ქალთა ერთეულების სრიალში საბჭოთა კავშირის თასი დაისაკუთრა. ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ასპარეზობათა მონაწილე 13 წლის მარინე სანაია წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელის — მეკარის, ვალტერ სანაიას ქალიშვილია... ადამიანის ოჯახში, რომლის სახელსაც ვლადიმერ მარღანიას, სერგო კოტრიკაძის, ალექსანდრე ხომიჩსა და ლევ იაშინთან ერთად იხსენებენ, კიდევ ერთი დიდი სპორტსმენი იზრდება. დღეს მარინეზე ძალზე ბევრი იწერება. სპორტის მოყვარულებმა იციან, რომ ამ გოგონასათვის ჩემპიონატებში მიღწეული ადგილი არასოდეს არის თვითმიზანი. იგი სარბიელზე გამოდის, რათა თავისი სრიალით კმაყოფილება მიანიჭოს მაყურებელს, განიცადოს ის ბედნიერება, ურთულესი ილეთების დაძლევა რომ იწვევს სპორტსმენში.

აი რას წერდა 25 ნოემბერს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ კორესპონდენტი: „შეკითხვაზე, რას თვლით თქვენ სპორტსმენისათვის მთავარს — მარინემ მიპასუხა — შრომისმოყვარეობას, შეუპოვრობას და... კეთილ გულს. არასოდეს არ უნდა გაგახაროს შენი მეტოქის უნებლიე მარცხმა. მახსოვს საპოროში სხვებთან ერთად მეც ძალზე განვიცდიდი ყინულზე სერიოზა ჩეტვერუხინის ყოველ გამოსვლას. როდესაც მის ერთ-ერთ მთავარ მეტოქეს უნებლიეთ ხელი მოეცარა. მეს თავდაპირველად მესიამოვნა, შემდეგ კი ამგვარი საქციელისათვის კინაღამ საკუთარი თავი შევიძულე“...

მარინესაგან ახალ-ახალ გამარჯვებას მოველით, რომელსაც იგი უთუოდ მოიპოვებს

შეხვედრა სამი ათეული წლის შემდეგ

ომი დამთავრდა, ის კი არსად ჩანდა. აბა, კარგი რა უნდა ეფიქრათ. დაღუპულად ჩათვალეს და გამოიტირეს.

და აი 1957 წელს უცხოეთიდან მოსულმა ბარათმა ააფორიაქა ვანის რაიონის სოფელ შუამთაში მცხოვრები ჭელიძეების ოჯახი — ... „როგორა ხართ, ჩემო საყვარელო დედა და მამა, როგორა ხართ, ჩემო ძმებო და დებო, მე ცოცხალი ვარ, ჯანმრთელი, მაგრამ თქვენზე ფიქრით მოსვენება მაქვს დაკარგული“ — იწერებოდა მათი დაკარგული შვილი მიხეილი.

კვლავ დაიღვარა ცრემლი, ეხლა ცოცხალს, ოღონდ ცხრა მთას იქით მყოფ შვილს ტიროდა დედა... საპასუხო ბარათი გაგზავნეს, — ჩამოდი, მოგვინახულეო, სწერდნენ მკვდრეთით აღმდგარს. მიმოწერაში განვლო თხუთმეტმა წელიწადმა. მიხეილი სამშობლოში ჩამოსვლაზე თავს იკავებდა. დედას თხოვდა ვიზას გამოგიგზავნი და ჩემთან ჩამოდიო.

„ჩამოვალ, შვილო, როგორ არ ჩამოვალ, — უპასუხა დედამ,—მარგარამ აბა, რა გამოვა, მანდ მარტო მე მნახავ, აქ კი შენს დაძმას, შენს მეზობლებსაც ჩაიკრავ გულში და ბოლოს სამშობლოსაც ნახავ, რომლის უნახობას, შენი სიტყვებით რომ ვთქვა, ჩემი უნახაობის დარად განიცდი...“.

დაუჯერა დედას და შინისაკენ მიმავალ გზას დაადგა. 1972 წლის 5 ნოემბერს ზეიმი იდგა ჭელიძეების ოჯახში. შვილი, ოჯახიდან 31 წლის წინათ რომ წავიდა, შინ დაბრუნდა.

— მეგონა, გული გასკდებოდა. დედასთან, და-ძმებთან, საქართველოსთან შეხვედრას ვერ გავუძლებდი. ცრემლი ჩემდა დაუკითხავად ღაპაღუპით ჩამოდიოდა. ლამის წავხდი კაცი, — იგონებს ჩვენი რედაქციის სტუმარი მიხეილ ჭელიძე სამშობლოში ჩამოსვლის პირველ წუთებს და დასძენს:

— ისევ დედამ იმარჯვა — ვაუკაცს ცრემლი არ შეგშვენისო, მითხრა და გულში ჩამიკრა. რამდენხანს ვიყავი ასე? არ მახსოვს. ათი წუთი... ოცი, ერთი საათი? ირგვლივ ვერავის და ვერაფერს ვხედავდი... შემდეგ კი, თვალებს ბინდი რომ მოშორდა, ჩემს შესახვედრად მოსული დები, ძმები და მეგობრებიც ვიცანი, შშობლიური ვანის მიწასაც ვეამბორე. თვალსა და ხელშუა გაფრინდა სტუმრობისათვის განკუთვნილი დღეები. ხვალ უკვე შორეულ კალიფორნიაში მივემგზავრები, — დაასრულა თხრობა სტუმარმა. მშვიდობის გზა ვუსურვე. ვუთხარი, იმედია კვლავაც მოინახულებთ-მეთქი სამშობლოს, აუცილებლადო, მითხრა და კარგა ხნის დუმილის შემდეგ დასძინა: —იცით, რედაქციაში რისთვის მოვედი? მინდა მადლობა ვუთხრა იმ ადამიანებს, შინ ჩამოსვლის საშუალება რომ მომცეს, მადლობა ვუთხრა ნათესავებსა და მეგობრებს ასეთი გულთბილი მიღებისათვის, მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც ასეთი ლამაზი გახადა შუამთა, ვანი, თბილისი... დიახ, თქვენ თვალი გაქვთ შეჩვეული და, ალბათ, ვერ ამჩნევთ, როგორ გალამაზებულა საქართველო, მე კი ყველაფერს ვხედავ, ყველაფერს ვგრძნობ. ჩემი მოგზაურობა მშობლიურ ქვეყანაში კინოფირზე აღბეჭდე და უცხოეთში მცხოვრებ ჩემს მეგობრებსა თუ იქ მცხოვრებ ქართველებს ვუჩვენებ ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოვან ქვეყანას და ბოლოს კიდევ ერთი თხოვნა მაქვს — გამოაქვეყნეთ გაზეთში ჩემი მისამართი და ტელეფონის ნომერი. დაე, ყველამ დამირეკოს, ვინც სამშობლოს მოსწყდა, მაგრამ მისი დავიწყება არ ძალუძს; წერილი მოიწეროს და ვუპასუხებ, თუ როგორ იცის საქართველომ გზააბნეული შვილების მიღება, როგორ მოგველიან ჩვენი მშობლები, და-ძმანი, მეგობრები...

რედაქციისაგან:

რედაქციისაგან: სიამოვნებით ვასრულებთ მიხეილ ჭელიძის თხოვნას და ვაქვეყნებთ მის მისამართსა და ტელეფონის ნომერს, ვიმედოვნებთ ამ კაცის წახდა და განცდილი ბევრ ჩვენს თანამემამულეს გადააწყვეტინებს შინ ჩამოსვლას... თუნდაც, სამი ათეული წლის შემდეგ.

19-47 გრეისტ დარიფ სანტა როზა კალიფორნია, ტელ. — 546.7656.



სურათზე: მიხეილ ჭელიძე (მარცხნიდან მეოთხე) ნათესავ-მეგობრებთან.

პარიზის გრანდ-ოპერის მსახიობები თბილისში



გისლენ ტესმარი

კვირას, 3 ნოემბერს, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე ფრანგული ბალეტის ოსტატები, პარიზის გრანდ-ოპერის ვარსკვლავი, ანა პავლოვას პრემიის ლაურეატი გისლენ ტესმარი და საერთაშორისო კონკურსებისა და ფესტივალების ლაურეატი მიშელ ბრიუელი ადანის ბალეტ „ჟიზელში“ გამოვიდნენ.

თბილისელი მაყურებელი ბევრჯერ შეხვედრია ფრანგული საბალეტო სკოლის წარმომადგენლებს და ყოველთვის ღრმა შთაბეჭდილებით დაუტოვებია დარბაზი.

კლასიკური ფორმის სრულყოფა და აქტიორული შემოქმედების სინატიფე აუცილებელი პირობაა ფრანგი მოცეკვავეებისათვის. ფრანგული საბალეტო სკოლა გასული საუკუნის რომანტიკული ბალეტის სტილს თანმიმდევრულად ინარჩუნებს, რაც გარკვეულ ნიუანსებში იჩენს თავს, ეს განსაკუთრებით ითქმის ადანის ბალეტ „ჟიზელის“ შესრულებაზე.

გასტროლიორების აქტიორულ შემოქმედებაში, თუნდაც ალბერის პარტიის შემსრულებლის მიშელ ბრიუელის ვესტებსა და ქცევაში, უბრალო სცენურ სიარულშიც კი გამორიცხული იყო ყოფითი იერის ნიშანწყალი. ბრიუელმა წარმოგვიდგინა დიდებული, წარჩინებული გრაფი, დროს გასატარებლად და თავის შესაქცევად ხალხში ინკოგნიტოდ რომ იყო გამოსული.

პირველსავე მიზანსცენებში იგი მკაფიო დახვეწილი ჟესტით, ცეკვის პლასტიკური ინტონაციებით გვაგრძნობინებს, რომ გადაწყვეტილი აქვს ლამაზი სოფლელი ქალიშვილის სიყვარულით გაერთოს. მხოლოდ ჟიზელის სიკვდილი აუხელს თვალს და ჩადენილი ცოდვის სიმძიმეს აგრძნობინებს. ბრიუელის დახვეწილი, აქტიორული ოსტატობა ნათლად წარმოგვისახავს გმირის აზრთა მსვლელობას.

თავისებურად ხსნის გისლენ ტესმარი ჟიზელის ქორეოგრაფიულ სახეს. დიდი სიყვარულით დაბადებული ბედნიერების გრძნობა და უშუალობა, რომელიც ჟიზელის ადამიანური ბუნების დამახასიათებელი თვისებაა, უკარნახებს მას შესაფერისი ნათელი ტონებით შეფეროს ჟიზელის ქორეოგრაფიული პარტიის მთელი პლასტიკური იერი. ურწმუნობა ჩრდილს არ აყენებს მის ოცნებებს, ამიტომ ბედნიერების სხივი გამოკრთის მის ჰაეროვან ცეკვაში.

მოსიყვარულე და ბედნიერია ტესმარი ვილისების სამყაროს ცივსა და უგრძნობელ ფონზე. პლასტიკაში, ხელისა და ტანის მოძრაობის ხასიათში ტესმარს კარგად აქვს შეთავსებული ირეალური სამყაროდან მოვლენილი მსუბუქი, ჰაეროვანი არსების „ცხოვრებისეული“ სითბო. მთელი მეორე აქტის ურთულეს კლასიკურ კომპოზიციებში ლეიტთემად დაჰყვება მას ალბერის შეწყნარება და ვილისებისაგან ალბერის გადარჩენის სურვილი.

ვილისების აქტის ბოლოს კი მიშელ ბრიუელი და გისლენ ტესმარი როლების თავიანთი გააზრების ერთიანი პოზიციებიდან და ამ გააზრებით ბრწყინვალედ მიღწეული ცეკვის დუეტური ანსამბლით შესანიშნავად გადმოგვცემენ ბალეტის დედააზრს, მის ფილოსოფიურ შინაარსს — წმინდა და ჭეშმარიტი სიყვარული ბედნიერებას ამკვიდრებს.

აღსანიშნავია სტუმრების წმინდა კლასიკური ქორეოგრაფიული ხელოვნების ოსტატობაც. ბრწყინვალედ დამუშავებული ტერფის ტექნიკა, ელევაცია, აპლომბი, ნახტომის სირბილე, არაბესკის სიწმინდე, პოზების სკულპტურული დახვეწილობა, მოძრაობათა ჰარმონიულობა, ტექნიკური სიძნელეების თვალისათვის შეუმჩნეველი გადალახვა, ცეკვაში გრძნობების ნატიფი და ფაქიზი გამომსახველობის უნარი უსაზღვრო თავისუფლებას ანიჭებს მათ.

სტუმრებმა პოეტური შთაგონებით წარმოგვისახეს წარსული საუკუნის რომანტიკული ტრადიციის ქორეოგრაფიული ხელოვნება, რითაც მაყურებელს დიდი ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭეს.

ნონა გუნია,
საქართველოს დამსახურებული არტისტი

დაგეძებენ, მოგელიან

რაჟდენ სოლომონის ძე ტოგონიძეს,

დაბადებულს 1912 წელს ონის რაიონის სოფელ ფარეხეთში, ეძებენ მეუღლე — **ნინო,** შვილი — **ლეილა,** შვილიშვილი — **ლია გივის ასული თოდაძე,** მცხოვრებნი სოფელ ფარეხეთში.

იოსებ (სოსო) გიორგის ძე ხუნაშვილს,

დაბადებულს 1921 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ზემო მაღაროში, ეძებენ დედა — **თამარი,** მეუღლე — **რუსუდანი,** შვილები — **გივი** და **ნანა,** შვილიშვილი — **ბესიკ ხუნაშვილები,** მცხოვრებნი სოფელ ზემო მაღაროში.

გიორგი ვისიტის ძე ნიკოლაიშვილს,

დაბადებულს 1915 წელს მახარაძის რაიონის სოფელ ბახვში, ეძებენ დედა — **ალექსანდრა,** ბიძა — **გრიგოლ ანტონის ძე ჩხაიძე,** მცხოვრებნი თბილისში, ძნელაძის ქუჩა № 1.

ალექსი სიმონის ძე ასათიანს,

დაბადებულს 1906 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ტვიშში, ეძებენ მეუღლე —**დესპინე,** შვილები — **თამარი, ვალოდია, შურა, ანატოლი, ლევან ასათიანები** შვილებითურთ, მცხოვრებნი თბილისში რუისის ქუჩა № 7,

ლენტორ გიორგის ძე კიპაროიძეს,

დაბადებულს 1910 წელს საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთში, ეძებენ მეუღლე — **შუშანა,** შვილები — **შოთა, რუბენ, ჯუმბერ, დავით, ჟუჟუნა, ქეთევან, გოგუცა კიპაროიძეები,** მცხოვრებნი სოფელ არგვეთში.

ივანე მიხეილის ძე კაპანაძეს,

დაბადებულს 1915 წელს თბილისში, ეძებენ დედა — **შუშანა,** მეუღლე — **ფაცია,** შვილი — **ანზორი,** შვილიშვილები — **მალხაზი, ზურაბი,** დები — **ვარა, ანიკო, მარგო კაპანაძეები,** მცხოვრებნი თბილისში, პლეხანოვის გამზირი № 189.

გიორგი (გოგიტა) ტარასის ძე ბარჯაძეს,

დაბადებულს 1924 წელს ჭიათურის რაიონის სოფელ ზედა ითხვისში, ეძებენ დედა — **ანეტა,** ძმა — **პეტრე,** დები — **მარუსა** და **გოგუცა ბარჯაძეები,** მცხოვრებნი სოფელ ითხვისში.

მიხეილ ალექსის ძე კახელაშვილს,

დაბადებულს 1906 წელს გარდაბნის რაიონის სოფელ კუმისში, ეძებენ მეუღლე — **თამარი,** შვილები — **ვლადიმერ, ლენა, ციალა, რძალი — ჟუჟუნა,** შვილიშვილი — **მანანა კახელაშვილები,** მცხოვრებნი თბილისში, მესამე მასივი, X კვარტალი, მე-15 კორპუსი, 43 ბინა.

ნიკოლოზ ვასილის ძე ოთარიშვილს,

დაბადებულს 1921 წელს ქალაქ ნოვოჩერკასკში, ეძებენ დედა — **მარიამი,** მამა — **ვასილ,** დეიდა — **ანეტა ციბაძე,** დები — **თამარ, თინა ოთარიშვილები,** მცხოვრებნი თბილისში, თიანეთის გზატკეცილი № 1.

მიხეილ ვასილის ძე გელაძეს,

დაბადებულს 1905 წელს თბილისში, ეძებენ მეუღლე — **თამარ,** შვილები — **ქეთევან, ვახტანგ, თენგიზ გელაძეები,** მცხოვრებნი თბილისში, არაგვის პირველი შესახვევი № 4.

ირაკლი გიორგის ძე ხმალაძეს,

დაბადებულს 1920 წელს, თელავის რაიონის სოფელ იყალთოში, ეძებს მამა — **გიორგი ნიკოლოზის ძე ხმალაძე (იმერლიშვილი)** მცხოვრები სოფელ იყალთოში.

რედაქტორი გივი კარბელაშვილი

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 86488